**From Tradition to Innovation** 88



ლისი ვერანდა 92



ვერნისაჟი
**VERNISAGE**

დაკარგული არქიტექტურა 94




არქიტექტურის მესამე საერთაშორისო ფესტივალი

Third International Architectural Festival

AAG

STYLE

# საერთაშორისო არქიტექტურული ფესტივალი
# საერთაშორისო კონკურსი "არქიტექტურული პრემია 2014"

„საქართველოს არქიტექტორთა ასოციაციის“ ეგიდით, „არქიტექტორთა კლუბის“ და ჟურნალი „STYLE“-ს მხარდაჭერით 29-30 სექტემბერს გაიმართება თბილისის მესამე საერთაშორისო არქიტექტურის ფესტივალი.

5 ივნისიდან დაწყებულია საკონკურსო ნამუშევრების მიღება და გამოფენაში და კონკურსში მონაწილეთა რეგისტრაცია.

ფესტივალის მიზანია საუკეთესო პროექტების და იმ არქიტექტორებისა თუ დიზაინერების წარმოჩენა, რომელთაც თავისი წვლილი შეაქვთ არქიტექტურის განვითარებაში.

არქიტექტურის მესამე საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში (29-30 სექტემბერი):

2014 წლის 29 სექტემბერს, 14:00

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გაიხსნება არქიტექტურისა და დიზაინის საერთაშორისო გამოფენა. გამოფენაში მონაწილეობას იღებენ, როგორც ქართველი, ასევე უცხოელი არქიტექტორები და დიზაინერები, სამშენებლო და არქიტექტურული კომპანიები.

გამოფენის სივრცეში (29 სექტემბერს) პროფესიონალები (არქიტექტორები, დიზაინერები, სამშენებლო კომპანიები) ჩაატარებენ სემინარებს, მასტერ-კლასებს არქიტექტურისა და დიზაინის თემებზე.

2014 წლის 30 სექტემბერს, 17:00

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გაიმართება მე-9-ე საერთაშორისო კონკურსში - „არქიტექტურული პრემია 2014“ - გამოვლენილი საუკეთესო არქიტექტურული და დიზაინერული ნამუშევრების დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი.

- საერთაშორისო კონკურსი „არქიტექტურული პრემია 2014“ საცხოვრებელი თუ საზოგადოებრივი სივრცის, შენობების, ინტერიერის და დიზაინის სფეროს მოიცავს.
- საერთაშორისო კონკურსი 2006 წლიდან ტარდება არქიტექტურისა და დიზაინის სფეროში მოღვაწე პროფესიონალთათვის (http://www.archiaward.com/; www.archias.ge)
- საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობისათვის განიხილება რეალიზებული და სარეალიზაციო პროექტები და იდეები.

ყურადღება!!!

საერთაშორისო გამოფენა მნიშვნელოვანი ადგილია ამ სფეროს პროფესიონალთა - დიზაინერთა, არქიტექტორთა, ინჟინერთა, ინვესტორთა შესახვედრად. ამასთანავე მიზანმიმართულია ინდივიდუალურ მომხმარებელთან საქმიანი ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად.

ორი დღის განმავლობაში თითოეული მონაწილეს საშუალება ექნება სივრცეში წარმოადგინოს, როგორც ინოვაციური პროექტები, ასევე ინფორმაცია მომსახურეობისა და მასალების შესახებ.

მზარდი კონკურენციის პირობებში არჩევანის გაკეთება, წარმოდგენილ მონაწილეებს შორის, დამოკიდებული იქნება მხოლოდ მათ მიერ გამოფენილი პროდუქციის ხარისხზე და სტანდარტებზე, რაც კონკრეტულ გარემოში დაწინაურების გარანტია.

არქიტექტურულ ფესტივალზე მკაფიოდ აისახება საქართველოს არქიტექტურაში მომხდარი ყველა უახლესი აქტუალური მოვლენა, შედეგი საზოგადოების ჯეროვან ინტერესს იწვევს. ყოველივე კი ფინანსური პარტნიორებისათვის საჭირო და აქტუალურ საქმეში კაპიტალდაბანდების ეფექტური საშუალებაა.

- დამთვალიერებელს (მომხმარებელს) იშვიათი შესაძლებლობა ეძლევა ერთ პალიტრაზე იხილოს წამყვანი არქიტექტორების, დიზაინერების და კომპანიების მუშაობის შედეგი და მიიღოს გადამწყვეტი არჩევანი:
- აღმოაჩინოს უახლესი სამშენებლო მიმართულებები და ტექნოლოგიები;
- გაეცნოს მშენებლობის მაღალ სტანდარტებს, ხარისხსა და დიზაინს;
- მიიღოს კომპეტენტური კონსულტაცია და ადგილზევე გახდეს მისი არჩევანის დამკვეთი.

თუ კი სახლის მშენებლობას, ყიდვას ან გარემონტებას ფიქრობთ, მობრძანდით ახალი იდეების გასაცნობად.

*დღეს, პროექტი „არქიტექტურული პრემია 2014“ სერიოზულ, ფართო საზოგადოებრივ დატვირთვას მოიცავს და მნიშვნელოვანი (საერთაშორისო) სარეკლამო პოტენციალი აქვს.*

*„საქართველოს არქიტექტორთა ასოციაცია“ გთავაზობთ:*

*- პროექტის - „არქიტექტურული პრემია 2014“ წარმართვისას ურთიერთთანამშრომლობის ფორმებს.*

*თქვენი სურვილისამებრ, მოგაწვდით „არქიტექტურული პრემია 2014“ მთლიან საპრეზენტაციო მასალას და სასპონსორო პაკეტებს.*

*კონკურსის „არქიტექტურული პრემია 2014“-ის საბოლოო შედეგები გამოვლინდება 2014 წლის 30 სექტემბერს გამართულ დაჯილდოებ-ის ცერემონიალზე.*

*გთავაზობთ პროექტის „არქიტექტურული პრემია 2014“-ის თანადგომას, მისი სპონსორის სახით. დასპონსორების ფორმა დადგინდება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.*

*დაინტერესების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:*

ტელ: +995 593 427 473
email: laghidze.n@gmail.com
www.archiaward.com













ქალაქი

CITY

# დავით ნარმანიამ არქიტექტორთა ასოციაციას უმასპინძლა






2014 წლის 15 მაისს თბილისის მერობის კანდიდატმა, აწ, უკვე თბილისის მერმა დავით ნარმანიამ, „საქართველოს არქიტექტორთა ასოციაციის“ წევრებს უმასპინძლა.

მან არქიტექტორებს წინასაარჩევნო პროგრამის ძირითადი მიმართულებები გაცნო. მთავარი აქცენტი ქალაქის განაშენიანებასა და ისტორიულ უბნებზე გაკეთდა. დავით ნარმანიამ დედაქალაქის გენერალური გეგმის აუცილებლობაზე ისაუბრა, არქიტექტორებს ქალაქის განაშენიანების გეგმა გააცნო და მათგან რეკომენდაციები მოისმინა. თბილისის მერობის კანდიდატმა ყურადღება გაამახვილა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სავალალო მდგომარეობაზე, ამ პრობოლემის გადაჭრის გზებზე და განაცხადა, რომ ქალაქის განაშენიანებასთან დაკავშირებით სწორი და მწყობრი პოლიტიკის შემუშავებაა საჭირო, რისთვისაც უნდა გაძლიერდეს კვალიფიციური არქიტექტორებისგან შემდგარი საკონსულტაციო საბჭო.

„თქვენ ხართ ის ხალხი, რომელთა შეხედულებები და მაღალპროფესიული მიდგომები გადამწყვეტია დედაქალაქის საცხოვრებლად უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნაში. ამიტომ მიმაჩნია, რომ ნებისმიერი საკითხი, იქნება ეს ძველი ქალაქის განახლება, თბილისური ეზოებისთვის ახალი სიცოცხლის მინიჭება, ამორტიზებული სახლების ახლით ჩანაცვლება, ახალი სამშენებლო პროექტების განხორციელება თუ სხვა, თქვენთან მჭიდრო თანამშრმლობით უნდა გადაწყდეს,“ - მიმართა დავით ნარმანიამ არქიტექტორებს.

არქიტექტორებმა ამ სფეროში წლების განმავლობაში არსებულ კრიზისზე ისაუბრეს, დავით ნარმანიას, გამარჯვების შემთხვევაში თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურში ცვლილებების განხორციელება სთხოვეს და მასთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვეს.

**2014 წლის 12 ივლისს ჩატარებულ, თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, თბილისის მერი დავით ნარმანია გახდა.**

**ვულოცავთ ბატონ დავით ნარმანიას გამარჯვებას და ჟურნალი "სტილის" შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ ვრცელ ინტერვიუს თბილისის მერთან ქალაქის სტრატეგიული განვითარების გეგმის ჩამოყალიბების და მასთან დაკავშირებულ, სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ.**










# ავტორიტარიზმის არქიტექტურული ანატომია

## ქართველი არქიტექტორები ავტორიტარიზმის წლებში

ვახტანგ დავითაია

რა სტილური და მხატვრულ-ესთეტიკური ტენდენციები გამოიკვეთა ავტორიტარიზმის 9 წლიან პერიოდში ქართველ არქიტექტორთა შემოქმედებაში?

1. "ქართული არქიტექტურის" ძიება ხალხური ხუროთმოძღვრების და ეთნოგრაფიულ-ყოფითი ელემენტების ინტერპრეტირებით. ამ პრინციპით აშენდა მთელი რიგი ტურისტული ობიექტები, ეროვნული რესტორნები, ღვინის სახლები, მრავალი ინტერიერი. ტურიზმის ბიზნესის მოთხოვნების გავლენის თვალსაზრისით საქართველო არ არის გამონაკლისი. მსოფლიოში პირდაპირი ეთნო ციტირების და იმიტაციის პრინციპით შექმნილია ცალკეული ობიექტები, ქუჩები, უბნები, ქალაქებიც კი. ესაა მიზნობრივი სტილიზაცია-რეტროსპექტივა.

2. "ქართული არქიტექტურის" ძიება სულიერ კულტურაზე (არამატერიალურ კულტურაზე) დაყრდნობით, განწყობილება-ატმოსფეროს შექმნა, ეროვნული ხასიათის, მენტალობის, მითების, ლეგენდების, რიტუალების არქიტექტურის ენაზე ინტერპრეტირება. რემინისცენციებით "ქართული" განწყობილების პროვოცირება. აქ ნაკლებადაა ციტირება, მეტია მისწრაფება ასოციაციური კავშირისკენ. ეს გზა გაცილებით მაღალ პროფესიონალიზმს და ფართო ინტელექტს ითხოვს ვინემ ხალხურ-ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის სტილიზაცია – რეტროსპექტივა.

3. კიჩი. იკვეთება ორი ტენდენცია. კიჩი როგორც პოზიცია და კიჩი როგორც გემოვნება-დაკვეთა. უფრო ნათელი რომ გახდეს განვმარტავ. კოშკი, რომელიც აშენდა რეზო გაბრიაძის თეატრის წინ კიჩია, მაგრამ კიჩი როგორც მიზანი, მხატვრული პოზიცია, ადგილის ხაზგასმა, სპექტაკლის უვერტიურა, თამაში, ინტერესი, შარჟი. ის მასშტაბითაც არ არღვევს არქიტექტურული გარემოს სიმშვიდეს.





სამწუხაროდ, უამრავია კიჩური გემოვნების მაგალითები, როგორც დამკვეთი-არქიტექტორის ერთობლივი მოღვაწეობის შედეგი. ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი გახლავთ, იქვე მეზობლად, "ლაღიძის წყლების" ტრანსფორმირება კიჩურ მონსტრად.

4. ავტორიტარიზმის პერიოდის ყველაზე გავრცელებული ტენდენციაა "ისტორიზმი", რომელიც ხშირ შემთხვევაში იმიტაციაა. არის მცდელობა ამ მოვლენის "პოსტმოდერნიზმთან" გაიგივეობის. მათ შორის არსებითი განსხვავებაა.

5. რეტროსპექტივა ძირითადად აღინიშნება აღდგენით ობიექტებში, ასევე ისტორიული ქალაქების და ქუჩების რეაბილიტაციის დროს, როგორც არსებულ განაშენიანებასთან კონტექსტის მიღწევის საშუალება.

6. შენობათა დიდი ნაწილი მოდის კოსმოპოლიტურ "ინტერნაციონალურ არქიტექტურაზე", ფონურ, ნეიტრალურ, შუშიზმზე. მათ არ გააჩნიათ კონტექსტის, ადგილის, ქვეყნის, ისტორიის, ტრადიციების ელემენტალური განცდა.

7. "დეკონსტრუქტივიზმი" მაქსიმალისტური სტილია. ის ვერ იტანს მოკრძალებას, რევერანსს, კონტექსტი, ბუნებით "თავხედია", ამიტომაც მოკრძალებული "დეკონსტრუქტივიზმი", რომელიც აქა-იქ აღინიშნება საქართველოში, "დეკონსტრუქტივიზმის" პაროდიაა. ამ აზრის სისწორისთვის შეიძლება მოვიყვანოთ ფილიპ ჯონსონის "ევროპის კარიბჭე მადრიდში". ორი 24-სართულიანი კოშკი, რომლებიც გადახრილია – "ვარდნის პროცესშია", მხოლოდ ვიზუალურ-ემოციური დეკონსტრუქციაა და საერთო არაფერი აქვს დეკონსტრუქტივიზმის ფილოსოფიასთან.

8. მიმბაძველობა, მეორადობა. ცალკეულ ობიექტებში მეორადობის დოზა იმდენად საგრძნობია, შეიძლება კვალიფიცირებულ იქნას პლაგიატობად. ეს ფაქტი პროფესიონალებისათვის, ასევე არქიტექტურის ისტორიისთვის მნიშვნელოვანია, მასისთვის კი უმნიშვნელო.

9. არის შემთხვევები არსებული ობიექტების განმეორების, გადმოტანის სხვა ქვეყნიდან.

## იუსტიციის სახლები

ავტორიტარიზმის პერიოდი იუსტიციის სახლების და პოლიციის შენობების მშენებლობის არნახული მასშტაბებით აღინიშნა. იუსტიციის სახლები გაშენდა თბილისში, ბათუმში, გურჯაანში, მესტიაში, თელავში, ყვარელში, ლაგოდეხში, მარნეულში, გორში, ჭიათურაში, რუსთავში, ზუგდიდში, ახალციხეში, ოზურგეთში, ანაკლიაში. ნაწილი მშენებლობის პროცესშია. თითქმის შეუძლებელია დაადგინოთ ავტორები, დამპროექტებელი ფირმები, სამშენებლო ორგანიზაციები, მშენებლობის ღირებულება, განხილვა-ექსპერტიზა-დამტკიცების პროცედურა. ყველაფრიდან სჩანს, მათი ავტორები, ძირითადად, ქართველი არქიტექტორები არიან.

**იუსტიციის სახლების ცალ-ცალკე ანალი-**



**ზის საჭიროებას ვერ ვხედავ, რადგანაც ისინი საერთო დადებით და უარყოფით ნიშნებს ავლენენ, რაც დაკვეთის მიზანდასახულებაზე და კატეგორიულობაზე მიანიშნებს.** ავტორებმა კარგად იციან მსოფლიოს თანამედროვე არქიტექტურული ტენდენციები და პროფესიულადაც იყენებენ მათ, თუმცა ძიებები, ხშირ შემთხვევაში, სცილდება "არქიტექტურის" საზღვრებს და ენერგიულად იჭრება თანამედროვე დეკორატიული ხელოვნების და დიზაინის სფეროში. პროფესიული თვალსაზრისით თითქმის ყველა შენობა იმსახურებს დადებით შეფასებას. იტალიელი ფუქსასის თბილისის სახლი და გერმანელი მეიერის მესტიის სახლი ორი პოლუსია. ფუქსასის "სახლი" ექსტრაკლასის ნაწარმოებია, ხოლო მეიერის მესტიის "სახლი" ექსტრა სიმახინჯე და პროფესიული სიყრუე.

დღეს მეცნიერების და ხელოვნების ყველა დარგი ინტერდისციპლინარულობისკენ ისწრაფვის, მაგრამ როდესაც დეკორატიული ხელოვნება და დიზაინი პრივალირებს არქიტექტურაზე (გურჯაანის, ახალციხის, მარნეულის, გორის, ყვარელის იუსტიციის სახლები), არქიტექტურის "სამეფოში" რაღაც ვერ არის კარგად.

იუსტიციის სახლები და პოლიციის შენობები სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ობიექტებია, კანონიერების და სამართლის სიმბოლოები, ადამიანთა უფლებების გარანტი. როდესაც ამ რანგის შენობებს არა აქვს მინიმალური ტიპოლოგიური ცნობადობა და მათ აღვიქვამთ როგორც სანაყინე-კაფეტერიას ზღვის სანაპიროზე ან სულაც ზღვაში, სასაწყობო პავილიონად ან ამსგავსებ ზღარბს თუ უზომოდ გადიდებულ რომელიმე საყოფაცხოვრებო ნივთს, უნდა ვიფიქროთ, რომ არქიტექტურა მორგებულია დამკვეთის კაპრიზზე და გემოვნებაზე. ჩემის ღრმა რწმენით, იუსტიციის სახლებს, ისევე როგორც პოლიციის შენობებს, უნდა ქონდეთ ტიპოლოგიური ცნობადობა, გამაერთიანებელი არქიტექტურული ლექსიკა, კოდი, თემა. ეს სრულებითაც არ ნიშნავს მოწოდებას ტიპიურობისკენ.

## პოლიციის შენობები

პოლიციის შენობები აიგო თბილისის ყველა რაიონში, ფოთში, ხაშურში, ქუთაისში, ზესტაფონში, ახალციხეში, მცხეთაში, ახმეტაში, ნინოწმინდაში, 40-მდე ობიექტი.

პოლიციის შენობები, რომლებიც იუსტიციის სახლებთან ერთად ავტორიტარიზმის პერიოდის მთავარი არქიტექტურული თემა იყო, სახიერებით, სამშენებლო ხარისხით ჩამორჩებიან იუსტიციის სახლებს. არც მათ გააჩნიათ ტიპოლოგიური ცნობადობა, თუმცა ატარებენ ერთ საერთო ნიშანს, თითქმის ყველა მინისაა და ემოციურად ერთნაირად ცივი. ისინი "ცნობადნი" არიან არა არქიტექტურით, არამედ ლოგოთი "პოლიცია" ქართულ და ინგლისურ ენებზე. ხელისუფლება გვარწმუნებდა, რომ გამჭვირვალე მინის შენობები დემოკრატიის სიმბოლოა, თუმცა მასალა აგური, ბეტონი, ხე, მინა – არ შეიძლება იყოს არც დემოკრატიული და არც არადემოკრატიული. დემოკრატიულობა არქიტექტურის მახასიათებელია და არა სამშენებლო მასალის. არავითარი აზრი არა აქვს პოლიციეს შენობების ცალცალკე განხილვას, თუმცა, მათ შორისაც არიან კარგი, საშუალო და ცუდი.

მსგავსად იუსტიციის სახლებისა, პოლიციის შენობების დამპროექტებელი ორგანიზაციების და ავტორების დადგენა პრაქტიკულად შეუძლებელია.



იუსტიციის და პოლიციის სახლები, ყველგან, მათ შორის დედაქალაქშიც განთავსებულნი არიან გამორჩეულ, "თვალშისაცემ" ადგილებში, რაც მიანიშნებს ავტორიტარიზმის პერიოდში ამ ორი სამინისტროს ძლევამოსილებაზე და გავლენაზე ქვეყნის ცხოვრებაში. ცალკეულ შემთხვევაში ეს "გავლენა" იმდენად თვალშისაცემია, რომ იწვევს მოქალაქეთა პროტესტს. მაგალითად, ვაკის რაიონის პოლიციის შენობას "მზიურში", სარეკრეაციო ზონაში, ორ ჰექტარზე მეტი ტერიტორია აქვს შემოღობილი, ხოლო შენობა არეალის მუდმივმომქმედი ნაძვის ხეა.

დიდად სამწუხაროდ, არცერთ "იუსტიციის სახლს" და პოლიციის შენობას, მინიშნებაც კი არა აქვს "ადგილის სულზე" (Genius Loci), ქვეყნის ისტორიაზე, კულტურაზე. ამ თვალსაზრისით ისინი უსამშობლო, უმისამართო, მახსოვრობადაკარგული მანქურთებია, უცხო და ცივი ქართული მენტალობისათვის. დარწმუნებული ვარ, იმ პროფესიული პოტენციალით, რასაც ავლენენ ზემოხსენებული ობიექტების ავტორები (განსაკუთრებით იუსტიციის სახლების), სწორი "დაკვეთის" და მიზანდასახულობის შემთხვევაში, შეიძლებოდა ეს შენობები ყოფილიყვნენ არა მხოლოდ "საინტერესო", არამედ ტიპოლოგიურად ცნობადი და ეროვნულიც. ამის არა ერთი მაგალითი არსებობს მსოფლიოში. ეს აუცილებელია პატარა ერის იდენტურობისათვის.

ავტორიტარიზმის 9 წლიანი პერიოდი მშენებლობის მასშტაბებით, არეალით და ტემპებით შთამბეჭდავია. ეს მოვლენის მხოლოდ ერ-



თი მხარეა. შენება ყოველთვის არ ნიშნავს აღმშენებლობას. ზოგჯერ ის ნგრევის ტოლფასია. ეს ნათლად დაგვანახა უცხოელი კოლეგების მოღვაწეობამ (იხ. “სტილი” №48,49 2014წ.). არქიტექტურული ნაწარმოების შეფასების ერთადერთი კრიტერიუმი მხატვრულ-ესთეტიკური ხარისხია, ის თუ რა შემატა ამა თუ იმ შენობამ არქიტექტურას, კულტურას, სულიერებას.

## რეაბილიტაცია - რეგენერაცია

შესრულებულია მნიშვნელოვანი პროექტები – სიღნაღი, მცხეთა, ახალციხე-რაბათის ციხე, დავით აღმაშენებლის გამზირი და მარჯანიშვილის ქუჩა თბილისში, ქუთაისის ცენტრალური ნაწილი და რა თქმა უნდა ბათუმი, სადაც აღინიშნა ზემოთ ჩამოთვლილი, თითქმის ყველა ტენდენცია.

## მცხეთა

სვეტიცხოვლის მიმდებარე ურბანული გარემოს, უფრო ზუსტად ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების და ქუჩების რეაბილიტაცია-რეგენერაცია, თუ არ ჩავთვლით სვეტიცხოვლის კარიბჭის გასწვრივ მონაკვეთს, სადაც აღინიშნა, ტლანქი “ინტერვენცია”, არქიტექტურულ-ურბანული კომფლიქტი არ შეინიშნება. რეაბილიტაცია-რეგენერაცია შეეხო არა მხოლოდ ფასადურ მხარეს, სახურავებს, ფრაგმენტებს, ღობეებს, ჭიშკრებს, ქუჩის კეთილმოწყობის ელემენტებს, არამედ საინჟინრო კომუნიკაციებს და არსებული შენობების კონსტრუქციულ გამაგრებას. შენარჩუნებულია ურბანული ქსოვილი, მხატვრული კონტექსტი, საერთო ატმოსფერო. (ავტორები ვ. ორბელაძე, გ. გეგელია, დ. გივიშვილი, გ. ჭკუასელი). ასევე, შენარჩუნებულია განაშენიანების ტრადიციული სივრცობრივი იერარქია, ტაძრების დომინირება. მცხეთის ეს უბანი რეაბილიტაციის წარმატებული მაგალითია და მიანიშნებს ქართული არქიტექტურული სკოლის ხარისხზე, პოტენციალზე, როდესაც ეს პოტენციალი სწორედაა მიმართული.

დიდი გაუგებრობაა სვეტიცხოვლის კარიბჭესთან აშენებული, უმასშტაბო, ტლანქი მძიმე ნაგებობა. ძეგლთა დაცვაში, საბჭოებში ირწმუნებიან, რომ მათ ამ შენობის პროექტი არ შეუთანხმებიათ. მაგრამ არ შეთანხმება არ უხსნის მათ პასუხისმგებლობას. ის ხომ ერთ დღეში არ აშენებულა.







რაც შეეხება ახალ მშენებლობებს, ანტიოქიის ქუჩის და მდ.არაგვის მიმდებარე ტერიტორიაზე დამთავრდა მცხეთის მუნიციპალიტეტის და სამხარეო ადმინისტრაციის, პოლიციის და “საქსტანდარტის” შენობები. მშენებლობის პროცესშია “იუსტიციის სახლი”. დამთავრდა დავით აღმაშენებლის ქუჩაზე საბჭოთა ტიპობრივი სახლების ფასადების რეკონსტრუქციის სამუშაოები. ვერ ვიტყვი, რომ რაიმე თვალშისაცემ სივრცობრივ დისონანს აქვს ადგილი. პოლიციის შენობაში იგრძნობა რევერანსი ადგილისადმი, ძეგლისადმი. გამომწვევი და ამოვარდნილია შენობის წინ აღმართული სივრცული სარეკლამო კონსტრუქცია. აღნიშვნის ღირსია, საცხოვრებელი კომპლექსი “მცხეთა რივერსაიდი”, რომელიც პროფესიული ტაქტით, გარემოს მიმართ პასუხისმგებლობითაა შესრულებული (ავტორები: მ.ზვიადაძე, ზ.ლოლაშვილი, მ.სირაძე).

**ახლახან შევიდა ექსპლუატაციაში მცხეთის მუნიცილალიტეტის და სამხარეო ადმინისტრაციის შენობა.** ეს შენობა ითხოვს სერიოზულ დაფიქრებას. ვერ ვიტყვი, რომ მოცულობა ანგრევს გარემოს სივრცობრივ მასშტაბს. შენობას აქვს ყურადღების და ინტერესის გამომწვევი მკაფიო მუხტი, მაგრამ ის თავისი “არქიტექტურით” სრულიად შეუსაბამოა ადგილთან და დანიშნულებასთან, რომ არაფერი ვთქვათ ერის მენტალობასთან. შენობა უზარმაზარი, ორსექციანი სარკოფაგია, უკონტაქტო, მდუმარე, საიდუმლოებით მოცული. ის შეიძლება ყოფილიყო გენოციდის მუზეუმი და არავითარ შემთხვევაში მხარის და ქალაქის სახელისუფლებო შენობა. შენობას არა აქვს ვიზუალური კავშირი უნიკალურ გარემოსთან, არც გარედან შიგნით და არც შიგნიდან გარეთ. რა დააშავეს აქ დასაქმებულმა ადამიანებმა? რატომ არიან ისინი ფსიქოლოგიურ პატიმრობაში? მათ აქვთ კანონიერი უფლება მოთხოვონ ხელისუფლებას შეუქმნან ელემენტალური ადამიანური სამუშაო პირობები. ყველაფერთან ერთად, შენობა იწვევს პირდაპირ ასოციაციებს გამოჩენილი იაპონელი არქიტექტორის ტადაო ანდოს იაპონიის პავილიონთან 1992 წლის სევილიის გამოფენაზე. სხვა შედეგი არც იყო მოსალოდნელი. არქიტექტურულ საზოგადოებას კარგად ახსოვს თუ როგორ ჩაატარა მცხეთის მუნიციპალიტეტმა ამ ობიექტზე “ბლიცტენდერი”, სადაც მხოლოდ ერთი პროექტი იყო წარმოდგენილი, რომელიც “გაათეთრეს”.



"ექიმი ვირზე". ავტორი გ. ჯაფარიძე





## სიღნაღი

სიღნაღი უნიკალური მაგალითია ლანდშაფტის და არქიტექტურის ჰარმონიისა. მჭიდროდ განაშენიანებული ქალაქი ვრცელი ველისა და მარად ცვალებადი კავკასიონის ფონზე ქმნის მისტიკურ განწყობილებას. 4.5 კილომეტრის სიგრძის ციხე-გალავანი, შვიდი კარიბჭითა და 23 კოშკით, აძლიერებენ ადგილის უნიკალობის განცდას. კარიბჭეების ღიობებიდან ხდება ქალაქის ფრაგმენტებისა და გარემოს კადრირება, რომლებიც ხედვის წერტილების ცვალებადობასთან ერთად იცვლებიან.

სიღნაღის რეაბილიტაციის სამუშაოები დაიწყო 2007 წელს და უმოკლეს დროში ეტაპობრივად განხორციელდა. მცხეთის ანალოგით სიღნაღის რეაბილიტაციასაც წინ უძღოდა კვლევა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის პროგრამა, რამაც განაპირობა ის, რომ ორივე ქალაქში შენარჩუნებულია ისტორიულად ჩამოყალიბებული სივრცული მასშტაბი, ტრადიციული აქცენტები და რაც მთავარია, ატმოსფერო და განწყობილება. საერთო კოორდინაციის და "რეჟისურის" გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა იმ არქიტექტურულ - მხატვრული ატმოსფეროს მიღწევა, რომელიც სახეზეა, როგორც მცხეთაში, ასევე სიღნაღში, მით უფრო, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოებში ჩართული იყვნენ სხვადასხვა საავტორო ჯგუფები, "თავიანთი უბნებით". სახლები, ღობეები, ჭიშკრები, ფასადის ფრაგმენტები და დეტალები, ასევე ახალი "ჩანართები" – საჩრდილობლები. მცირე არქიტექტურული ფორმები აყალიბებენ სასურველ ატმოსფეროს და განწყობილებას. ამ ატმოსფეროში ოსტატურად "ზის" მოქანდაკე გია ჯაფარიძის მცირე ზომის ჟანრული სკულპტურული კომპოზიციები "ექიმი ვირზე", "ქალი ბავშვითა და ძაღლით", "ურემი", "გოგონა სკამზე", შადრევანი და სხვა. ეს კომპოზიციები მოულოდნელ, "შემთხვევით" ადგილებშია განთავსებული და ზუსტად ეწერებიან საერთო არქიტექტურულ რეჟისურაში. ისინი ქალაქის ორგანული და მეტყველი ელემენტებია, იწვევენ სასიამოვნო ასოციაციებს და მოგონებებს. ბუნებრივად გიჩნდება სურვილი ჟანრული სკულპტურების მონაწილეობისა მცხეთაშიც. ადგილობრივი, ბუნებრივი, სამშენებლო მასალები, კუსტარულ-ხელოსნური მშენებლობის მაღალი ხარისხი და კულტურა აყალიბებენ სასურველ ინტიმს.

მიმაჩნია, მცხეთაში, სიღნაღში, კალასუბანში და სხვა ისტრიულ ურბანულ არეალში ნაკლებად საინტერესო უნდა იყოს "ისტორიული უტყუარობა", ბუკვალური აღდგენა იმისა, რაც ჩანახატებმა და ფოტოებმა შემოგვინახეს. უმთავრესია, დროში წყვეტილი, ხალხის მიერ, სტიქიური მშენებლობის შედეგად ჩამოყალიბებული მასშტაბის და ატმოსფეროს შენარჩუნება, მათი ახალ, უფრო მძაფრ ემოციურ და მხატვრულ რეესტრში აყვანა. ორივე ქალაქში ეს მიღწეულია. ჩემის აზრით, ურიგო არ იქნებოდა შენობათა პირველი სართულების მეტი ღიაობა, ინტერიერების აქტიური შემოსვლა ქუჩის ცხოვრებაში, არა როგორც ერთიანი პრინციპი, არამედ გამოხშირვით, "სტიქიურად", როგორც ეს სიღნაღს ახასიათებს.

მცხეთის და სიღნაღის რეაბილიტაციის ზოგადი დასკვნები ასეთია: 60-იანი წლების თბილისის ისტორიული ნაწილის, შარდენის და მიმდებარე ქუჩების. მცხეთისა და სიღნაღის რეაბილიტაციის მეთოდიკა და პრინციპი მსგავსია, რაც მიანიშნებს გარკვეულ მემკვიდრეობითობაზე. ის, ასევე თანხმობაშია საერთაშორისოდ აღიარებულ პრაქტიკასთან, ტრადიციებთან. ეს არ არის "რესტავრაცია", ზუსტი აღდგენა, არამედ ვარიაციები და ინტერპრეტაციები განწყობილებისა და ატმოსფეროს შენარჩუნებით. ახალი ელემენტები, "ჩანართები" მხატვრულად ზუსტია, არ არღვევენ საერთო ატმოსფეროს და მასშტაბს. არსებობს აზრთა სხვადასხვაობა სიღნაღის მერიის შენობაზე, განსხვავებული სტილის და არქიტექტურულ-მხატვრული სახის გამო.

მე აღვადგენ კარგ ტრადიციას და წარმოგიდგენთ ამ წარმატებული საქმის შემოქმედთ. პროექტირებას და ზედამხედველობას ანხორციელებდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ფონდი, დ.ნინიძის ხელმძღვანელობით, წინასაპროექტო კვლევა ჩაატარა ხელოვნებათმცოდნე ლ. ანდრონიკაშვილმა, არქიტექტორთა კოლექტივს გ.გოგოლაშვილის, გ.გეგელიას, დ.გივიშვილის, ნ.ბაგრატიონის შემადგენლობით საერთო კოორდინაციას უწევდა არქიტექტორი ვ.ორბელაძე, მთავარი კონსტრუქტორი ი.ოტიაშვილი.







## დავით აღმაშენებლის გამზირის, მარჯანიშვილის მოედნისა და ქუჩის რეაბილიტაცია

დავით აღმაშენებლის გამზირის, მარჯანიშვილის მოედნისა და ქუჩის რეაბილიტაცია, ავტორიტარიზმის პერიოდის მეგა აქციაა. არქიტექტურულ-მხატვრული, შესაბამისად მეთოდოლოგიური პრობლემები განსხვავებულია მცხეთისა და სიღნაღისგან. აღმაშენებლის გამზირი (ყოფილი მიხეილის, მოგვიანებით პლეხანოვის) დედაქალაქის ყველაზე გრძელი პროსპექტია, ქუჩათა მრავალრიცხოვანი "შენაკადებით" (3 კილომეტრი დინამოს სტადიონიდან ზაარბრუკენის მოედნამდე). მისი არქიტექტურულ-სივრცობრივი, მხატვრულ-სტილური ხასიათი ფაქტობრივად XX საუკუნეში ჩამოყალიბდა თუ არ ჩავთვლით XIX საუკუნის ბოლო წლებში აგებულ რამდენიმე შენობას: გერმანიის საელჩო, მაგნიტურ-მეტეოროლოგიური ობსერვატორია, არქიტექტორ შტერნის საკუთარი სახლი, სასტუმრო "ვეტცელი" – მოგვიანებით სასტუმრო "რუსთავი" და სხვა. ასევე აღსანიშნავია XX საუკუნის რევოლუციამდელი პერიოდის რამდენიმე შენობა, რომლებიც გამორჩეული არიან სახიერებით და გარკვეული წვლილი შეაქვთ გამზირის არქიტექტურულ - სივრცულ ფორმირებაში: ანდრეოლეტის სახლი, ჭიჭინაძის სახლი, კინოთეატრი "აპოლო", მიხეილის საავადმყოფო და სხვა. გამზირის არქიტექტურულ-სივრცობრივი ჩამოყალიბების პროცესში მნიშვნელოვანია II მსოფლიო ომის წინა და ომისშემდგომი საბჭოთა "სტალინური პერიოდი": ქართული ფილმის შენობა, "ტრამვაელთა სახლები" - საცხოვრებელი კვარტალი ცაბაძისა და აღმაშენებლის ქუჩების კუთხეში, ხუთსართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი (№147), "რკინიგზელთა კულტურის სახლი", "მარჯანიშვილის მოედანი" და სხვა.



მაკდონალდსი

არ არსებობდა განაშენიანების ერთიანი პროექტი, კონცეპცია, რის გამოც გამზირი ჩამოყალიბდა სტიქიურად, პროფესიული ალღოთი და იმ პერიოდისათვის არსებული არასრულყოფილი სამშენებლო ნორმებისა და რეგლამენტაციების მიხედვით. ამან განსაზღვრა გამზირის არქიტექტურული "მრავალსტილიანობა", უფრო სწორედ "ეკლექტიკური მრავალსახეობა" და ერთიანობა. ეს "ერთიანობა" მიღწეული იყო არა შენობათა არქიტექტურულ-მხატვრული კონტექსტით, არამედ განაშენიანების მასშტაბით, შენობათა სიმაღლით, რაშიც არქიტექტორთა პროფესიულ ტაქტთან ერთად გარკვეული როლი ითამაშა ვერტიკალური კომუნიკაციების მოწყობის სირთულემ, ხელმიუწვდენლობამ. მსოფლიო არქიტექტურის ისტორიაში არ არსებობს სტილი, რომელიც არ იყოს წარმოდგენილი აღმაშენებლის გამზირზე, მართალია არა ჰურისტული და კანონიზირებული სახით, არამედ მიმბაძველობითა და თავისუფალი ინტერპრეტირებით.

რეაბილიტაციის მეთაური უწყების "ძველი ქალაქის რეაბილიტაციის და განვითარების ფონდის" და ავტორების[1] წინაშე იდგა არჩევანი – თავისუფალი ინტერპრეტაციის გზა, გამზირის ატმოსფეროს, განწყობილების, მასშტაბის შენარჩუნებით, როგორც ამას ადგილი ქონდა მცხეთაში და სიღნაღში თუ "რესტავრაცია" – არსებულის ზუსტი აღდგენა. როგორც შედეგიდან სჩანს მათ აირჩიეს პირველი გზა, რაც სავსებით სწორედ მიმაჩნია, თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში "თავისუფალი ინტერპრეტაციის" საზღვრები სცილდება დასაშვებს და ლოგიკას. ეს უპირველესად ყოვლისა ეხება მარჯანიშვილის მოედანს და მარჯანიშვილის ქუჩას, განსაკუთრებით კი მარჯანიშვილის და უზნაძის ქუჩების გადაკვეთის კვანძს. მარჯანიშვილის მოედანზე მოხდა არსებული შენობების გადამეტებული "გაარქიტექტურება", ხოლო მეორე შემთხვევაში ხელყოფა არსებული, არც თუ ურიგო შენობებისა, დაირღვა სამშენებლო ნორმები, მკვეთრად გაუარესდა, მაცხოვრებელთა საყოფაცხოვრებო პირობები, ზიანი მიადგა მესაკუთრეთა ბიზნესს, არსებულ სახლებსა და ახალს შორის შეიქმნა ვიწრო, უსიამოვნო ჭები. ორივე შემთხვევაში უხეშად დაირღვა საავტორო უფლებები (არქიტექტორს მიხეილ მელიას ამ მოედნისათვის სახელმწიფო პრემია მიენიჭა). რაც არ უნდა დიდი იყოს ხელისუფალის, დამკვეთის თუ "გარემოებათა" წილი, ეს არ ანთავისუფლებს არქიტექტორს პროფესიული და მორალურ-ეთიკური ვალდებულებებისგან. ისტორიის სამსჯავროს წინაშე დგას მხოლოდ არქიტექტორი, ვინაიდან მომაკვდინებელი გასროლის საცეცს მან გამოჰკრა თითი. ყველაფერთან ერთად არა ვარ დარწმუნებული არქიტექტურული ისტორიზმის რენესანსულ-კლასიცისტური ინტონაციები ამ შემთხვევაში ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება იყოს.

რეაბილიტაცია ჩატარდა ოთხ უბანზე – გ.ცაბაძის ქუჩა (დინამოს სტადიონის მიმდებარე), ცაბაძის ქუჩიდან თამარ მეფის გამზირამდე, თამარ მეფის გამზირიდან მარჯანიშვილის მოედნამდე (ჩათვლით) და მარჯანიშვილის ქუჩაზე.

გ.ცაბაძის ქუჩის №11 სახლის ფასადის დაჟანგული ფურცლებით "მოპირკეთება", გაბედული სვლაა, თუმცა სადაო. როგორც ყოველ რადიკალურ გადაწყვეტას, მასაც ყურადღების მიპყრობის და მნახველის გაკვირვება- აღშფოთება-პროტესტის თუ მოწონების მაღალი მუხტი

1. სამწუხაროდ, ავტორების, ასევე ამ მნიშვნელოვან არქიტექტურულ აქციაში მონაწილე სპეციალისტების გვარების დადგენა გართულებულია, თითქმის შეუძლებელი, საპროექტო დოკუმენტაციის კომპლექტაციის, ექსპერტირებისა და დამტკიცების პროცედურების არაორდინარულობის და მშენებლობის უჩვეულო ტემპების გამო. ხშირ შემთხვევაში არქიტექტურული და ორგანიზებული საკითხები პირდაპირ ადგილზე წყდებოდა. ცივილიზებულ ქვეყნებში, არა თუ ამ მასშტაბის მშენებლობის, არამედ ცალკეული ობიექტების "ბიოგრაფია", "პროცესი", პირველი დღიდან დასრულებამდე ქრონოლოგიურად აღირიცხება და ცალკე წიგნად გამოიცემა. ავტორების ყველა მონაწილის ვინაობის და დოკუმენტის მოპოვება უმტკივნეულოდ შეიძლება.



გ.ცაბაძის ქ. №11ზ



ცაბაძის ქ.7

ბიზნესცენტრი "მიქსი"



გააჩნია. მიმაჩნია, ალმაშენებლის გამზირის-ცაბაძე-მარჯანიშვილის ქუჩის მრავალსახა მხატვრულ-სტილურ სუმბურში "ბრუტალიზმი" სიახლეა. მას აქვს არსებობის უფლება. №5 და №9 სახლებში მათი არქიტექტურული ხარისხის გათვალისწინებით, ჩარევა მინიმალურია.

ტრამვაელთა საცხოვრებელი კვარტლის (1928 წ.) საცხოვრებელ სახლებზე დაშენების არქიტექტურა რადიკალურად განსხვავებული სტილების სიმბიოზზეა აწყობილი (ფსევდო ქართული და ინტერნაციონალური სტილი), ეფექტურია და ეხმიანება დღევანდელ საერთაშორისო ტენდენციებს.

რეაბილიტაციის არეალი საკმაოდ ვრცელია, მრავალ სხვადასხვა არქიტექტურული ხარისხის და მიმართულების შენობას მოიცავს. ყოველი მათგანის ანალიზის საჭიროება არ არის. შემოვიფარგლები პრინციპებით. გამზირის ყველა კურდონერი შენარჩუნებულია. ეს, თითქოს, ასეც უნდა იყოს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ თბილისის არქიტექტურული- სამშენებლო პროცესის ბოლო წლების "ტრადიციას", რომელიც ცარიელი ადგილების ამოვსებას გულისხმობდა, თუ გავიხსენებთ სპორტის სასახლის არეალის ამოყორვა – გაბაზრებას, რიყის გაუპატიურებას, პრეზიდენტის სასახლის ფერდობის ქაოტურ მოშენებას, I საჯარო სკოლის უკან საცხოვრებელი კოლოსის აღმოცენებას, პარკების შევიწროებას, სკვერების ამოშენებას, ანჩისხატის ეკლესიის მიმდებარე ლალიძის წყლების პავილიონის და რესტორან-სასტუმრო "ამბრასადორად" ტრანსფორმაციას, "მზიურის" ტერიტორიის დიდი ნაწილისთვის "სარეკრეაციოს" სტატუსის შეცვლას და დაჭრა-გაყიდვას, იპოდრომის ისტორიას და სხვა მრავალს, ალმაშენებლის ქუჩის რეაბილიტაცია, დიახაც, რომ მისაბაძი მაგალითია.

რაც შეეხება ცალკეულ შენობებში აქტიური ჩარევის ფაქტებს, ისინი არ არღვევენ საერთო ურბანულ, მოცულობით-სივრცობრივ და მხატვრულ ატმოსფეროს.

აღნიშვნის ღირსია ახალი "ჩანართები". შენობა №129, რკინიგზელთა კულტურის სახლის კურდონერის მარცხენა კუთხეში, რომელიც რეაბილიტაციამდე გაშენდა, მიმაჩნია არქიტექტურული კონტექსტის კარგ მაგალითად. საზოგადოებრვი შენობა „მიქსის" არქიტექტურაში ისტორიულ რემინისცენციებთან ერთად საგრძნობია თანამედროვეობის განცდა. არქიტექტორები: ა. აბაშიძე, ო. ნემსაძე, დ. შაფაქიძე.(2009 წ.). თანამასშტაბურია და არქიტექტურულად საინტერესო კაფე "მაკდონალდსი" მარჯანიშვილის ქუჩის კუთხეში. არაერთგვაროვანია, საზოგადოების და პროფესიონალების აზრი "ვარდების ბაღის" შესასვლელთან მაღლივი სახლის რეკონსტრუქციაზე, მის გარდასახვაზე რადიკალურად განსხვავებულ დეკორატიულ არქიტექტურად. მთელი ეს ლითონის დეკორაცია შეკიდულია არსებულ შენობაზე. მაღალ, რიტმულ პილონებზე გადმოკიდებულია სწორკუთხა და წრიული ფორმის ერკერები. მე არ მაქვს რაიმე მოსაზრება შენობის რომელიმე არქიტექტურული სტილისთვის მიკუთვნებაზე, ზოგადად კი ვიტყვი, ის ახალი ინტონაციაა ალმშენებლის გამზირის მრავალსახეობაში. ალმშენებლის გამზირი მას იტანს, ღებულობს, როგორც მიიღო ყველა ზემოთაღნიშნულ ახალი „ჩანართი" და განსხვავებული სტილები. გამზირის რეაბილიტაციის შეფასება მაცხოვრებლების, თბილისის სტუმრების და პროფესიონალების მიერ განსხვავებულია. მაცხოვრებლებს აწუხებთ, ის რომ რეაბილიტაცია სრულყოფილად (ბოლომდე) არ შეეხო ფასადების მიღმა ნაწილს, საინჟინრო კომუნიკაციებს. ხელოვნებათმცოდნეებს მიაჩნიათ, რომ საჭირო იყო არსებულისადმი მეტი თავაზიანობა და მოკრძალება, სტუმრები აღტაცებულნი არიან გამზირის სტილური მრავალფეროვნებით. ყველა პოზიცია სწორია. განსხვავებული აზრიც ბუნებრივია. მე ოთხჯერ ქვეითად გავიარე ეს არტერია, დინამოს სტადიონიდან ზაარბრუკერის მოედნამდე, სხვადასხვა ცენზის, პროფესიის და ინტერესის ადამიანთან ერთად. პირველად, ამ ორი წლის წინათ, როდესაც გამზირზე აქა-იქ ჯერ კიდევ სამუშაოები მიმდინარეობდა, შესაძლო დამკვეთებთან ერთად, რომლებსაც სურდათ მათი არქიტექტურული სიმპატიები, ჩემთვის გაეზიარებიათ. ეს უაღრესად საინტერეესო "ექსკურსია" იყო. მეორე და მესამე მონახულება უცხოელ კოლეგებთან ერთად მოხდა. მათი აღტაცება აშკარა იყო, ყოველ შენობაში რაღაც განსაკუთრებულს ნახულობდნენ. მეოთხე ვიზიტი შესდგა 2014 წ. აღდგომა დილით ადრე, ამ სტატიაზე მუშაობისას დეტალების დაზუსტების მიზნით. ადამიანებისგან და მანქანებისგან დაცლილი გამზირი, სადგომებზე შეთხელებული მანქანები, სრული იდილია იყო "მუშაობისთვის". ოთხივეჯერ ახალი ემოციები და შეფასებები მქონდა. ერთი რამ კი უცვლელია, გამზირი გიზიდავს, გიწვევს დათვალიერებისკენ, რაც ასე აკლია თანამედროვე არქიტექტურას.

გამზირის მონაკვეთს მარჯანიშვილის მოედნიდან ზაარბრუკენის მოედნამდე, რეაბილიტაცია მხოლოდ რამდენიმე სახლს შეეხო. გაგრძელდება კი? არა და ძალიან სასურველია. აქ არა ნაკლები მოულოდნელობები გველოდება.

## დასკვნის სახით:

მცხეთის, სიღნაღის, ალმაშენებლის გამზირის რეაბილიტაციის სამუშაოები – მეთოდოლოგიური, კვლევითი, საპროექტო, სამშენებლო, მთლიანად შესრულებულია ქართველი სპეციალისტების მიერ, პროფესიულად, ქვეყნის და ისტორიის წინაშე პასუხისმგებლობით. ჩანართები, სიახლეები ზომიერი და გამზირის ატმოსფეროსთან კონტექსტურია.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



გ.ცაბაძის ქ. №7



# წარსულის ქალაქი და თანამედროვე საცხოვრებელი გარემოს როლი მის სივრცეში

დღემდე, ჩვენი დედაქალაქის ულამაზეს უბნებს, ფინანსური კრიზისი თუ კერძო ინვესტორების აქტიურობა, საშიშროების წინაშე აყენებს. ცალკეული ჩანართები, ძველ თბილისში, სრულად და ცალსახად არღვევენ საქართველოს ძეგლთა დაცვის საკანონმდებლო ნორმებს. ირღვევა მასშტაბი და ისტორიული უბნების არქიტექტურული ქარგა. ინგრევა ისტორიული ძეგლები. ყოველივე, ეს, პროფესიონალთა და ფართო საზოგადოების პროტესტის ფართო ტალღა იწვევს. თბილისის ძველ უბნებში ორიათასზე მეტი შენობა აღდგენას არ ექვემდებარება. მათგან ასამდე არქიტექტურის ძეგლია. აქაური მაცხოვრებლები, კომფორტზე რომ არაფერი ვთქვათ, ელემენტარული ცხოვრების პირობებს არიან მოკლებულნი და რაც ყველაზე შემაშფოთებელია, მათი სიცოცხლე სერიოზული საფრთხის წინაშეა. ძველი თბილისის გადასარჩენად სერიოზული, გონივრული და დროული ქმედებებია საჭირო.

ამჯერად, შესაძლებლობა გვეძლევა ამ პრობლემებზე ვესაუბროთ, არქიტექტურის დოქტორს, სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორს მარინა მაისურაძეს, რომელიც, წლებია, თბილისის ისტორიული უბნების საცხოვრებელი გარემოს განვითარების საკითხებზე მუშაობს:

- ქალბატონო მარინა, თბილისი ერთ-ერთ უნიკალურ ქალაქგეგმარებით ერთეულს წარმოადგენს, მისი შემადგენელი მრავალი ელემენტით. სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო ისტორიული უბნების საცხოვრებელი გარემოს განვითარების პერსპექტივა ბუნდოვანი ხდება, საინტერესოა ამ კუთხით თქვენი მოსაზრებები.

- თბილისი, იმ ქალაქთა რიცხვს მიეკუთვ-









ნება, სადაც ბუნება, მთის პეიზაჟი მძლავრად მოქმედებს არქიტექტურაზე. ქალაქის ცალკეული განაშენიანება აღიქმება მთლიანობაში ყოველი მხრიდან, თვით ქალაქის ყველაზე დაბალი ტერასიდანაც კარგად იკითხება მისი უდიდესი ნაწილი. ამიტომ, საცხოვრებლის ჯგუფები, კვარტლები აუცილებლად განხილული უნდა იქნას, არა მარტო ლოკალური არქიტექტურულ-კომპოზიციური გადაწყვეტით, არამედ მათი როლითაც ქალაქის სილუეტთან მიმართებაში. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ეს საკითხები იღებენ სპეციფიკურ ხასიათს, ლანდშაფტი ერთვება ქალაქის გარემოს არქიტექტურულ-მხატვრული სახის გადაწყვეტაში. ამის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს რომანტიკულობით გაჯერებული მეტეხის კედლის განაშენიანება. აქ ცალკეული სახლი არ არის ძეგლი, მაგრამ ცნება „არქიტექტურული ძეგლი“ უფრო ფართო ხასიათს ატარებს - ის აერთიანებს მეტეხის კლდის, მასზე დაკიდული აივნებისა და ნაგებობების მასშტაბს.

- რას წარმოადგენდა ძველი თბილისის ბირთვი და რა მდგომარეობაშია იგი დღეს?

- გვიანფეოდალური თბილისის ძირითად ნაწილს წარმოადგენდა თბილისის კალა, რომელიც მტკვრის მარჯვენა ნაპირზე გალავნით გამაგრებული ქალაქის საზღვრებში მდებარეობდა. გვიანფეოდალური თბილისის ბირთვი ეკავა განვითარებულ სავაჭრო-სახელოსნო ცენტრს, რომელიც დუქნებითა და ქარვასლებით მოშენებული ქუჩებისა და მოედნების სისტემას ქმნიდა. ე.წ. „ქვედა უბნის“ სავაჭრო ცენტრი იყო თათრის მოედანი, რომელიც ძირითადად დაკავშირებული იყო სავაჭრო რიგებთან.

მოედანთან თავს იყრის ქუჩების ქსელი, რომელიც მოშენებული იყო სავაჭრო-სახელოსნო რიგებით. მრავალი შემოსევებისა და რბევების მიუხედავად კალას ტერიტორიის დიდ ნაწილზე შემონახულია გვიანფეოდალური თბილისის უბნების გაბარიტები და ქუჩების დაგეგმარება. მთლიანად ეს სიტუაცია და მემკვიდრეობა, რომელმაც დღეს ჩვენამდე მოაღწია წარმოადგენს კეთილმოუწყობელ უბანს, სადაც მთლიანად მოძველებულია საინჟინრო აღჭურვილობა, ამორტიზირებულია ძველი განაშენიანება. განსაკუთრებულ სიძნელეს წარმოადგნს ძველი საცხოვრებელი სახლების შემონახვა. ქალაქმშენებლური თუ ტექნიკური პირობების გარდა აქ სოციოლოგიურ ამოცანებთან გვაქვს საქმე. ყველასათვის ცნობილია, რომ ძველი უბნების უმეტესი ნაწილი სწორედ საცხოვრებელ სახლებს უკავია. ამ სახლებში მცხოვრები თანამედროვე ადამიანი უმრავლეს შემთხვევაში მოკლებულია აუცი-





ლებელ კომფორტს, რომელიც ქალაქის სხვა უბნებში მცხოვრებთათვის ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს.

- არსებულის ფონზე ჩამოყალიბდა თქვენი მოსაზრებები და პროექტი, მოკლედ გვასაუბრეთ მასზე.

- შევეცადე შემექმნა სახლი, საცხოვრებელი განაშენიანება, რომელიც გეგმარებითი გადაწყვეტის ხასიათით, მასშტაბით, კომპოზიციით, ფერით, ჰარმონიულად შეავსებდა ჩამოყალიბებულ გარემოს. საცხოვრებელი სახლი წარმოდგენილი მაქვს ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთოთახიანი ბინებით. ბინებში მისვლა ხდება საერთო გალერიის ტიპის აივნებით (ბინებში ინდივიდუალური შესასვლელებით). სახლის სართულიანობა ხუთს არ აღემატება, ამიტომ სართულებზე მოხვედრა ხდება კიბეებით, ხოლო სახლებს შორის კავშირი დამყარებულია ტერასებისა და გადასასვლელი გალერეების საშუალებით, რომელთა გამოყენება სხვადასხვა დანიშნულებებისთვისაც შეიძლება. სართულიანობის, სახლების ბლოკების ერთმანეთთან კავშირის სხვადასხვაობით, მათი კომბინირებით დამატებითი სივრცეები იქმნება. შენობებთან ერთად, ეს გამჭოლი სივრცეები ქმნიან კარგ კონტრასტს. პროექტით გათვალისწინებულია, რომ სახლებს შორის სივრცე გამოყენებულ იქნას ქვეითადმავალთა ქუჩად, რაც თავისთავად სივრცეს აქტიურ, ცოცხალ არტერიად გადააქცევს. ქვეითადმავალთა არე უნდა აღიქვას, როგორც შესასვლელი სივრცე, რომელიც სხვადასხვა შენობებამდე მიგვიყვანს, ამავე დროს, იგი წარმოადგენს სათამაშო მოედანს მიკროპარკით, წვიმისაგან თავშესაფარს სათამაშოების შესანახი სათავსოებით, შეხვედრის ადგილებით, სპონტანური აქტივობის ადგილებით (სპორტდარბაზის მსგავსი), სხვადასხვა დანიშნულების წვრილი სავაჭრო თუ საყოფაცხოვრებო მომსახურების ფარდულებით, რომელიც საშუალებას იძლევა საცხოვრებნელი სახლების ჯგუფი ჩავრთოთ აქტიურ ცხოვრებაში.

- რა არის მთავარი ამ ტიპის ბინების დაგეგმარებაში?

- ჩემი ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო აქტიურად განმევითარებინა ქვეითადმავალთა არე და გადამექცია „სახლებს შორის სივრცე" ცოცხალ არტერიად. გარდა მთავარი ფუნქციისა, რომ ისინი შინაარსით ინდივიდუალურ შესასვლელებს წარმოადგენენ, ქვეითადმავალთა არეს სხვა ფუნქციაც აკისრია - ეს არის ურთიერთობა ადამიანთა შორის, რაც ზრდის მის ღირებულებასა და მნიშვნელობას. მთავარი ამ ტიპის ბინების დაგეგმარებაში არის სახლთა ჯგუფების ოპტიმალური ზონები, მომსახურებისა და ადგილობრივი აქტივობის ზონები. სახლთა ჯგუფების მრავალფეროვანი კომბინაცია თითოეულ ტერიტორიას თავის სპეციფი-







კურ ხასიათს აძლევს, თვით ტერიტორია კი გარკვეულ საზღვრებში მის პროფილსაც განსაზღვრავს. სახლთა ეს ჯგუფები სილუეტას მრავალფეროვნებით, ფორმა-მოცულობის მონაცვლეობით, გარემოს აქტიურს ხდის.

მყარდება კავშირი თანამედროვეობასა და უბნის ისტორიულ ორგანიზმს შორის.

სხვადასხვა სართულიანობისა, ბინების განლაგებისა და ურთიერთკავშირის ცალკეული ჯგუფების ინდივიდუალური თავისებურებები უზრუნველყოფს არჩევანს ბინებზე, სართულიანობაზე და ადგილზე. აქ ყველას შეეძლება თავისუფლად იგრძნოს თავი და იპოვოს ის, რასაც მეტად აირჩევს - თამაში, დასვენება თუ ბიზნესი. ინდივიდუალური ბინები კი აკმაყოფილებს აუცილებელ მოთხოვნებს, კომფორტს.

განაშენიანების ქსელი, დაგეგმარება, ქუჩების ხლართი, მასშტაბი, საერთო ხედი, სილუეტი, ყოველივე, რაც ერთიანობაში ძველი ქალაქის განსაკუთრებულ არომატს ქმნის, ასეთი დაგეგმარების დროს უცვლელი რჩება და რაც მთავარია გარემო ისევ ცოცხლდება, აქტიურდება, თანამედროვე, კომფორტული, სიცოცხლის განვითარებისათვის ვარგისი ხდება.

- როგორ აღიქვამთ დღეს ძვრებს და შედეგებს მშენებლობასა და არქიტექტურაში?

- დღეს, თბილისი წარმოგვიდგება ერთ დიდ საცდელ ექსპერიმენტულ პოლიგონად.

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ქალაქს არც წარსული ჰქონდა და არც მომავლის პერსპექტივაზე ფიქრით არის ვინმე მაინცადამაინც შეწუხებული. იმედია, მშენებლობაში დაიწყება სწორი, სასიკეთო ძვრები, რომელიც თანამედროვე ქალაქის ახალ, არქიტექტურულ სტრუქტურას წარმოქმნის, რაც საშუალებას მისცემს დედაქალაქს ახლებურად წარმოჩინდეს და მუდმივ კავშირში იყოს ტრადიციასთან.

ესაუბრა ნინო ლალიძე







# საქართველოს მთიანეთი

90-იან წლებში იდეურ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ბაზისის პრინციპულ შეცვლას მოჰყვა ქვეყნის განვითარების, ურბანიზაციის, განსახლების რთული პრობლემების წარმოქმნა. სახელდობრ, სოციალურ-ეკონომიკური სივრცის მთლიანობის დაკარგვა, დასახლებათა ტერიტორიების სტაგნაცია, ქალაქისა და სოფლის არათანაბარი განვითარება, საქართველოს რიგი ქალაქების და სოფლების მოსახლეობის კლება, პერიფერიული რაიონებიდან მიგრაციული ნაკადის ზრდა, დეპრესიული ტერიტორიებისა და დასახლებათა რაოდენობის ზრდა, განსახლების თავმოყრა ძირითადად მსხვილ ქალაქ-ცენტრებში. აღსანიშნავია, რომ საქართველოს დედაქალაქში, ქვეყნის მოსახლეობის ერთი მეოთხედი ცხოვრობს.

ამასთან, გამოვლინდა მანამდე არსებული განსახლების მეთოდოლოგიური საფუძვლების კრიზისი. აუცილებელი გახდა რეგიონული დაგეგმვის პოლიტიკის ახლებური გააზრება, მიწის ბაზრის ჩამოყალიბების, უძრავი ქონების, ასევე, ტერიტორიული მართვის დეცენტრალიზებული სისტემაზე გადასვლის გათვალისწინება.

საქართველოში გარდამავალ პერიოდში მიმდინარე გარდაქმნების ერთ-ერთ გამოვლინებას წარმოადგენდა ტერიტორიული დაგეგმვის სქემებისა და პროექტების უგულებელყოფა, რომელთა მეშვეობით ყოველთვის წყდებოდა პერსპექტიული განსახლების პრობლემები.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში დღეისათვის, არც ქვეყნის მასშტაბით და არც რეგიონულ დონეზე არ არსებობს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმვის სქემები; არც ერთ დამოუკიდებელ თვითმმართველ ქალაქსა და მუნიციპალიტეტს (გარდა თბილისისა) არ აქვს დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა,თუ არ ჩავთვლით მეცნიერული კვლევის დონეზე მოცემულ ნაშრომებს. აქედან გამომდინარე, თანამედროვე ეტაპზე, მიზანშეწონილი იქნებოდა რეგიონული მიზნობრივი პროგრამების შემუშავებასა და ტერიტორიული განვითარების გეგმარებითი სქემების შექმნაზე გადასვლა.



შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი ჩამოყალიბების დღევანდელ ეტაპზე, არსებული სოციალურ-ეკონომიკური ვითარების, შიდა და გარე პოლიტიკური ურთიერთობებისა და ქვეყნის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს პერსპექტიული განვითარების სახელმწიფოებრივი ქალაქთმშენებლობითი პროგრამის – საქართველოს ტერიტორიაზე განსახლების გენერალური სქემის ახლებური მოდელის შემუშავების საკითხი. ამ ეტაპზე,კი, მინდა ყურადღება გავამახვილო საქართველოს მთიანეთზე.

ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, მთიანი რაიონის განსახლების რეგულირება მნიშვნელოვანი საკითხია. რთული ბუნებრივი კლიმატური პირობები,საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურა ყოველთვის განაპირობებდა მთის მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების, აგრეთვე მიგრაციული პროცესების სპეციფიკას.

ცნობილია, რომ ქვეყანაში შემავალი ძირითადი ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციები (მთიულეთი, ხევი, ხევსურეთი, ფშავი, რაჭა, სვანეთი და სხვა) წარსულში საკმაოდ დამოუკიდებელი ეთნოგრაფიული რაიონები იყო. მთის ღრმა ხეობებში დასახლებული ხალხი ადვილად იცავდა თავს მომხვდურებისგან. ამასთან მკაცრი ბუნებრივი პირობები, უგზოობა, სუსტი კავშირი ცენტრალურ კომუნიკაციებთან იწვევდა კარჩაკეტილობას, მოსახლეობის თავისებურ სამეურნეო და ყოფითი ტრადიციების განვითარებას.





მნიშვნელოვანი ძვრები მოსახლეობის მობილურობაში შეინიშნება XIX საუკუნიდან, როცა ქვეყნის ტერიტორიაზე განხორციელდა იმდროინდელი მასშტაბებით გრანდიოზული სატრანსპორტო მშენებლობა –საქართველოს სამხედრო გზის რეკონსტრუქცია. აღსანიშნავია, რომ ეს სატრანსპორტო მაგისტრალი დღესაც არსებითად ზემოქმედებს მხარის სამეურნეო და სოციალურ განვითარებაზე.

დღეს, აქ, მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების ზრდის დროს, მეტად ძნელი ხდება მკვიდრი მოსახლეობის დამაგრება. სამაგიეროდ ამ ტერიტორიას, რომელიც უნიკალური რეკრეაციული რესურსებითაა მდიდარი, დიდი რაოდენობით შეუძლია სეზონურად მიიზიდოს მოსახლეობა ტურიზმისა და დასვენებისთვის. მაგრამ საკომუნიკაციო ინფრასტუქტურის მეტად დაბალი დონე არ იძლევა ამის საშუალებას და მთის გაუკაცრიელება საკმაოდ სწრაფი ტემპით მიმდინარეობს.

საქართველოს მაღალმთიანი ნაწილი შედარებით მძიმე საცხოვრებელი პირობებით ხასიათდება. შეიძლება ითქვას, რომ დამუშავებული მიწების და ფართო განსახლებისთვის ვარგისი ტერიტორიების სიმცირე, სატრანსპორტო და საკომუნიკაციო ქსელისა და მრეწველობის განუვითარებლობა, უნიკალური რეკრეაციული რესურსების ნაკლებად ათვისება ქმნის სამეურნეო და სოციალური განვითარების შედარებით დაბალ დონეს და რთულ სიტუაციას, რაც საბოლოოდ განაპირობებს განსახლების თვისობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს.

მთებს საქართველოს ორ მესამედზე მეტი უკავია. მთა ქვეყნის საზღვარიც არის და თუ სრულად დაიცლება, ტერიტორიას დავკარგავთ. იქ, სადაც ადგილი „გამოთავისუფლდება", სხვა მოვა და დასახლდება. მეზობელ ქვეყნებთან (თურქეთის გარდა) საზღვრების საკითხი მოუწესრიგებელია, მეტიც, ისინი აქეთიქით „დაცოცავს". წლების წინ რუსეთი რვა კილომეტრით შემოიჭრა ხევსურეთში, რაჭაში კი მათმა სასაზღვრო პოსტებმა მნიშვნელოვნად ჩამოინაცვლა ქვემოთ. ამის ერთ-ერთი მიზეზი არის ის, რომ მთაში ხალხი აღარ დარჩა ან იმდენად ცოტაა, რომ საზღვრების გაფართოების მოსურნე მეზობელი ანგარიშს არ უწევს. დემოგრაფიული კატასტროფა სახეზეა. ამ და სხვა უამრავი ფაქტორის გამოც მთაზე ზრუნვა არ არის მხოლოდ ეკონომიკური და სოციალური ამოცანა, ეს უმთავრესი, პოლიტიკური ამოცანაა. მთაშია თავმოყრილი ბუნებრივი რესურსების მეტი წილი, ენერგეტიკული პოტენციალი, ეს არ არის მხოლოდ მაღალი ადგილი ან სათხილამურო ტრასა. ახლა მთაში ყველაზე მეტად უჭირს სახელმწიფოს.

დაუყოვნებლივ უნდა შევცვალოთ პოლიტიკა მთის მიმართ, გადავარჩინოთ სრულად დაცლას ან ვაღიაროთ, რომ ნებაყოფლობით ვტოვებთ ტერიტორიებს. უმთავრესია მიგრაციის შეჩერება და შემდეგ უკუმიგრაცია, ხალხის მთაში დაბრუნება. ამის გამოცდილება ბევრ ქვეყანას აქვს და შეუძლებელი არაფერია. ყოველგვარი პათეტიკის გარეშე, მთის გადარჩენა ქვეყნის გადარჩენას ნიშნავს.

მთის შესახებ კანონი უკვე კარგა ხანია გვაქვს,მაგრამ კანონი მაღალმთიანი რეგიონების შესახებ მიღების მომენტიდანვე, 1998 წლიდან მკვდრადშობილი აღმოჩნდა. მაშინდელი კანონით მაღალმთიანი დასახლებების სტატუსი მიენიჭა ზღვის დონიდან 1500 მეტრს ზემოთ მდებარე 350-მდე სოფელს და მათთვის შეღავათების სისტემის ასამოქმედებლად ხუთი მილიონი ლარი გამოიყო. მაგრამ მალევე წინასაარჩევნო პერიოდში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებმა „ივაჟკაცეს", უამრავ სოფელს დაჰპირდნენ მაღალმთიანის სტატუსის მინიჭებას და ამ სიაში საბოლოოდ ათასზე მეტი სოფელი აღმოჩნდა, ისინიც კი,







ზღვის დონიდან 200 მეტრზე რომ მდებარეობს. გამოყოფილმა სუბსიდიამ სიმცირის გამო აზრი დაკარგა და კანონის მუხლების ამოქმედებაც შეუძლებელი გახდა.

კანონი იდეალურიც რომ იყოს, თაროზე დარჩება, თუ მისი ასამოქმედებელი მექანიზმები არ არსებობს. ამიტომაც ახალ კანონზე მუშაობაში პროექტის ავტორებთან ერთად უნდა მონაწილეობდნენ დემოგრაფიული განვითარების ფონდი და სხვადასხვა სამინისტრო.

ახალი კანონის მიღებას სულ ახლო მომავალში დაგვპირდა ხელისუფლება.

მთის საკანონმდებლო პაკეტი დროულად უნდა დამუშავდეს.

კანონპროექტის დარეგულირება მაღალმთიანი და მასთან გათანაბრებული ტერიტორიების შესახებ, ჯერაც საკამათოა. მთიანად მიიჩნევა არა მარტო 1500 მეტრს ზემოთ მდებარე დასახლება. ზოგადად მთიანობა არის პრობლემატურობის ნიშანი - არა მხოლოდ კავკასიონის სამხრეთი ფერდობია პრობლემატური, არამედ, მაგალითად, გურიის მთიანეთიც. კეთდება სამსაფეხურიანი გრადაცია - ძალიან მწვავე, მწვავე და გათანაბრებული ზონები. საგანგებოდ შემუშავებული მექანიზმით განისაზღვრება, როგორ, როდის და ვინ უნდა მიანიჭოს ამ ზონებს სტატუსები. მაგალითად, ბაკურიანი მთის მაღალ ზონაში გადის, მაგრამ დღევანდელი საქართველოს ფონზე გაჭირვებულად არ გამოიყურება, მას სხვა ტიპის მხარდაჭერა სჭირდება და არა ისეთივე, რაც თუნდაც სრულიად დაცლილ ხევსურეთს ან რაჭის სოფლებს.

შატილი სულაც არ არის ზღვის დონიდან ძალიან მაღლა, ისევე როგორც რაჭისა და სვანეთის ტერიტორიის ნაწილი, ამიტომ არ უნდა მივხედოთ სოფლებს მხოლოდ 1500 მეტრს ზემოთ...

დასარეგულირებელია მთაში მშენებლობით დაინტერესებული ქართველი თუ უცხოელი ბიზნესმენების და ინვესტორების ინტერესები, მშენებლობის დაბეგვრის თვალსაზრისით (მთასა და ბარში მშენებლობა ერთნაირად იბეგრება).

ამ პროექტით სოციალური შეღავათების სისტემაც უნდა გაუმჯობესდეს - ახალი კანონი უნდა დამუშავდეს ისე,რომ მთის განვითარება ბიზნესზე იქნას ორიენტირებული. ხელფასზე ან პენსიაზე 30-ლარიანი ან თუნდაც ორჯერ მეტი დანამატი მთაში არაფერს ცვლის.

გასათვალისწინებელია მთიან ზონაში მუდმივად თუ მომთაბარეთ მცხოვრებთათვის სატატუსის მინიჭება შესაბამისი პროვილეგიებით და შეღავათებით.







მთაში დარჩენილებს თუ რეალურად დავეხმარებით, რეკლამაც არ დაგვჭირდება, ისე იბრუნებს ხალხი პირს მთისკენ.

დღეს საკანონმდებლო ან აღმასრულებელ სისტემაში მთაზე მომუშავე ერთეული მართლაც არ არსებობს. ამჟამად პროცესს ეკონომიკის სამინისტრო უწევს კოორდინირებას, მაგრამ აუცილებლად უნდა შეიქმნას შეაბამისი სტრუქტურა - მთის სააგენტო.

სვანეთში ერთი სათხილამურო კურორტის მოწყობა მთაზე ზრუნვას არ ნიშნავს. როგორც ბათუმის სანაპიროს მოწყობით ვერ გამოსწორდა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა, ისე თეთნულდზე კარგი ინფრასტრუქტურის შექმნა მთის პრობლემატიკას ვერ მოხსნის.



ამ პრობლემის გადასაწყვეტად საჭიროა შემდგომი ამოცანების გადაჭრა, პირველ რიგში საგზაო და სხვა კომინიკაციების შექმნა, მეურნეობის აღმავლობა, შრომითი პირობების მაქსიმალურად გაუმჯობესება, ბუნებრივ პირობებთან შეხამებული კომფორტული საბინაო ფონდის შექმნა და, რაც მთავარია, ამოცანების გადასაწყვეტად დიდი კაპიტალდაბანდებების გამოყოფა. არ უნდა გამოგვრჩეს, ის, რომ საქართველოს მთიანეთი განსაკუთრებულად მდიდარია უნიკალური ხუროთმოძღვრული და ბუნებრივი ძეგლებით და ჰიდრორესურსებით, რაც საკურორტო თუ ტურისტულ ზონებთან ერთად შეიძლება მთის მოსახლეობის მატერიალური შემოსავლის წყაროდ და მიგრაციის პროცესის შეჩერების ერთ-ერთ ძირითად პირობად იქცეს.

საქართველოს თანამედროვე საერთაშორისო სატრანსპორტო-საკომუნიკაციო ქსელი ევროპის ქვეყნებთან შედარებით ჯერ კიდევ არასათანადო დონეზე იმყოფება, რაც ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალს ასუსტებს. ამიტომაც, საქართველოს მთავრობის პროგრამის პრიორიტეტულ მიმართულებას სწორედ საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სატრანსპორტო სისტემის რეაბილიტაცია-მშენებლობა წარმოადგენს.



შიდასახელმწიფოებრივი გზების რეაბილიტაციის კონტექსტში აღსანიშნავია,რომ დაიწყო თიანეთი-ზარიძეები-ჟინვალის საავტომობილო გზის რეკონსტრუქციის პროექტის განხორციელება. პროექტს ახორციელებს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი. საპროექტო გზა დაბა თიანეთს აკავშირებს დაბა ჟინვალთან და შესაბამისად დანარჩენ რეგიონებთან. აღნიშნული გზა მნიშვნრლოვნად ამოკლებს გზას დედაქალაქთან, მცხეთა-თიანეთის მხარის ცენტრთან და მხარის დანარჩენ მუნიციპალიტეტებთან. თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს საავტომობილო გზა შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზაა, მისი რეკონსტრუქციის პროექტის განხორციელება, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობების მიხედვით, შექმნის ამ რეგიონში სამეურნეო და სოციალური განვითარების შედარებით მაღალ დონეს და თანდათან გამოასწორებს რთულ სიტუაციას.

ნინო ლაღიძე

# მესტია



სვანეთი უნიკალური მოვლენაა მსოფლიოს მატერიალურ და სულიერ კულტურაში. არქიტექტურაში მას ანალოგი არა აქვს, ამას მთელი მსოფლიო აღიარებს. სვანეთი ერთი მთლიანი ქალაქგეგმარებითი ძეგლია, უნიკალური კოშკური სისტემაა. აი ასეთ საპასუხისმგებლო, ფაქიზ და უნიკალურ გარემოში, კერძოდ მესტიაში შესძლეს მუშაობა არქიტექტორების ჯგუფმა მერაბ გუჯეჯიანის, ზურაბ მამათელაშვილის და ერეკლე წიკლაურის შემადგენლობით.

შუა საუკუნეების ქალაქისთვის სულაც არ არის დამახასიათებელი „ქაოტური განაშენიანება“. შუა საუკუნეების ქალაქი ლოგიკური იყო როგორც ფუნქციების განაწილების, ისე საქალაქო სივრცეების ორგანიზების თვალსაზრისითაც. თუმცა, მესტიის სეტის მოედანს, როცა არქიტექტორები შეუდგნენ, მის გარდასახვაზე მუშაობას, არაფერი არ ქონდა საერთო არც შუა საუკუეების, არც ქაოტურ განაშენიანებასთან. ტიპიური საბჭოთა რაიცენტრის ტიპიური შუაგული იყო უსახური განაშენიანებით (როგორიც წნორშიც გვხვდება და ხონშიც), მოედნის ფუნქციური განაწილების უბადრუკი მცდელობებით, თავისი ადმინისტრაციული ცენტრით ცენტრალურ ღერძზე.

მოედანი რომ დატვირთო, უნდა შექმნა კარგი სივრცეები. სადაც მაგალითად კაფეს მეპატრონე გარეთ გადგამს მაგიდებს და სტუმრებს იქ დაჯდომა ესიამოვნებათ, სადაც მაღაზიებიც იქნება, სხვადასხვა საზოგადოებრივი ობიექტები... და არა მაშინდელი მტვრიანი და უსახო სივრცე, რომლის დანახვაზე მხოლოდ ერთი სურვილი უჩნდებოდა ყველას, სტუმარსაც და პოტენციურ ინვესტორსაც — სასწრაფოდ გაცლოდა იქურობას!

ევროპაში არ არსებობს მეტნაკლებად დი-



























დი ქალაქი, რომლის ქუჩათა ქსელი მნიშვნელოვნად არ ყოფილიყო შეცვლილი თანამედროვე მოთხოვნილებების შესაბამისად. ეს ყველაფერი იმიტომ, რომ ქალაქი ცოცხალი ორგანიზმია და ის პირველ რიგში მისი მობინადრეებისთვის ოპტიმალურ საცხოვრებელ პირობებს უნდა უზრუნველყოფდეს!

როდესაც მესტიაში სარეკონსტრუქციო სამუშაოები დაიწყო, სოციალურ ქსელებში უხვად დაიყარა,,მარგალიტები: ,, დაანგრიეთ და მიწასთან გაასწორეთ!!!,,; ,,რას ერჩოდით ჩემს მესტიას, აქ ხომ ჩემი ბავშვობა დადიოდა,, და ა.შ. , მაგრამ, ვერცერთი უცხოელი წარმატებული არქიტექტორი ისე შინაარსიანად ვერ შეასრულებდა მესტიის რეკონსტრუქციის პროექტს, როგორც ეს მერაბ გუჯეჯიანმა და მისმა გუნდმა შესძლო.

პროექტის ავტორის (როგორც თავად ყვება) პირველი დავალება ის იყო, რომ სეტისგან არ მიეღო ე.წ. «სიღნაღი». მეორე მხრივ კი, საჭირო იყო «საბჭოთა პერიოდის უსახური არქიტექტურის საშლელით წაშლა».

გუჯეჯიანი ამას ტრადიციული საშენი მასალის - ქვისა და ხის გამოყენებით შეეცადა. უფრო მეტი თავისუფლება კი გამგეობის შენობის დაპროექტებისას მისცა თავს. ასე აღიმართა ტრადიციული სტილის, ხის აივნებიანი და ყავარით გადახურული ნაგებობების გვერდით, გამგეობის შემინული, თანამედროვე შენობა. ამიტომ სეტი დღეს ეკლექტურ შთაბეჭდილებას ტოვებს. თუმცა, იმ ადამიანებს, რომლებიც მთავარ მოედანზე მაღაზიებსა და ფარდულებს ფლობენ, თავიდან სულ სხვა რამ ადარდებდათ: – ,,აქაურები პატარა ფანჯრებს არიან მიჩვეული, ეს მათ დაცულობის შეგრძნებას მატებს, ამიტომ ეშინოდათ, რომ დიდ ფანჯრებსა და ვიტრაჟებს გაუტეხენ, გაძარცვავენ. იმის ასახსნელად, რომ ახლა სვანეთში სხვა დროა, დიდი შრომა დაგვჭირდა»,





















- იხსენებს მერაბ გუჯეჯიანი.

შებინდებისას ულამაზესია მესტია, თანდათან ინთება პროჟექტორები და სახლების აივნიდან ჩაშავებულ რელიეფზე განათებული კოშკები ჩანს.

მესტიაში 23 კოშკი აღადგინეს და გაამაგრეს. თუმცა, როგორც ირკვევა, სასწრაფო გარემონტება სვანეთში კიდევ 123 კოშკს ჭირდება. მესტიის გამგეობაში არსებულ განყოფილებას შემდეგი სახელწოდებით - კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური - არ ჰყოფნის არც ბიუჯეტი და არც ადამიანური რესურსი, რათა კოშკების რეაბილიტაციაზე იზრუნოს. ეს ფუნქცია დღეს მთლიანად საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტომ უნდა შეითავსოს.

მესტიაში კვლავ გაგრძელდება სარეკონსტრუქციო სამუშაოები, ასეთი მასშტაბური ფორმით ალბათ არა, მაგრამ როგორც, მერაბ გუჯეჯიანი ამბობს – მოწესრიგდება ქუჩები (შესაბამისი ინფრასტრუქტურით, ღობეებით, ჭიშკრებით). კონკრეტული ქუჩების რეაბილიტაციაზე უკვე ტენდერებია გამოცხადებული.

დღეს სვანეთში დაწყებული ცვლილებები ადგილობრივ მოსახლეობას პირველად უჩენს განცდას, რომ კავკასიონის მწვერვალებში გამოკეტილი მხარე სახელმწიფოს რეალურად სჭირდება.

სვანეთი მართლაც რომ გახდეს ახალი დანიშნულების პუნქტი ტურისტულ რუკაზე, ამისთვის კარგად აწყობილი ინფრასტრუქტურაა საჭირო, რომელშიც ადამიანებმა საკუთარი საქმე იციან. ამიტომ სვანეთის რეალური განვითარებისთვის თანაბარი ინვესტიციაა საჭირო როგორც მსხვილ მშენებლობებში, ისე ადგილობრივი მოსახლეობის განათლებაშიც.

ნინო ლაღიძე









სახლი

HOUSE

# პროცესი - იდეის განხორციელების წარმატებული გზა







2014 წლის 13 ივნისს თბილისში, საპრეზიდენტო ბილიოთეკამ საქართველოს არქიტექტურული ფორუმის პირველ საჯარო შეხვედრას და მსოფლიოში უკვე აღიარებულ ახალგაზრდა ქართველ არქიტექტორს, ჰარვარდის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს, გიორგი ხმალაძეს უმასპინძლა.

გიორგი ხმალაძემ აუდიტორიას საკუთარი გამოცდილების და ხედვების შესახებ პრეზენტაცია წარუდგინა: „პროცესი. იდეის განხორციელების წარმატებული გზა“.

2014 წლის თებერვალში გიორგი ხმალაძის ბოლო არქიტექტურულმა ნამუშევარმა - ბათუმის მაქ-დონალდსმა, მსოფლიოში საუკეთესო კომერციული შენობის ჯილდო მიიღო.





























# Batumi McDonald's named One of World's Best Buildings of 2013

In one of the newly urbanized areas of Batumi, Georgia, on the Black Sea Coast, architect Giorgi Khmaladze built an award-winning McDonald's , the Business Insider website informs.

Combined with a fuel station and recreational areas, this efficient structure just won distinction as the best commercial building of the year from architecture website ArchDaily. The architectural news outlet had its readers vote for the best buildings in 14 categories, choosing from hundreds of new buildings constructed in 2013.

The building has a small footprint to allow vehicle circulation that doesn't disrupt city traffic.

The building is surrounded on three sides by a reflective pool lined with stones.

The McDonald's sits in a newly urbanized area of Batumi.

This „ecological shield" of vegetation keeps fumes from the gas station out of a dining area. The gas station sits underneath the canopy that holds one dining area.

The entrance to the gas station is on the opposite end of the building from the McDonald's.

The website also offers a look at how the space is organized inside the building. For further photos of the award winning McDonald's in Batumi follow the link.











# ხელოვნების სასახლე











საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი – ხელოვნების სასახლე — დაარსდა თბილისში 1927 წელს დავით არსენიშვილის ინიციატივით. თავდაპირველად საქართველოს სსრ სათეატრო მუზეუმი ერქვა. იგი ჯერ საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის გამგებლობაში შედიოდა, შემდეგ კი საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს გადაეცა. მუზეუმში პირველი გამოფენა 1928 წელს მოეწყო. საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 13 დეკემბრის დადგენილების თანახმად, სათეატრო მუზეუმს ეწოდა საქართველოს თეატრის, მუსიკისა და კინოს სახელმწიფო მუზეუმი.

2009 წლიდან მუზეუმის დირექტორია ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი გიორგი კალანდია

2010–2011 წწ. შენობის სრულმასშტაბიანი რესტავრაცია-რეაბილიტაციას ჩაეყარა საფუძველი. რეაბილიტაციის პროცესი ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ დააფინანსა, პროექტის მხარდამჭერი იყო საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო.ჩატარდა კოლოსალური სამუშაოები და 2014 წლის 18 მაისს საქართველოს ხელოვნების სასახლეში მუზეუმის დირექტორის გიორგი კალანდიას, საქართველოში ამერიკის ელჩის რიჩარდ ნორლანდის და საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილის მანანა ბერიკაშვილის მასპინძლობით საზეიმოდ გაიხსნა ახლად რესტავრირებული რვა საგამოფენო და ისტორიული დარბაზი.

რეაბილიტაციის პერიოდში სასახლის კედლებზე აღმოჩენილია უძველესი მხატვრობის ფრაგმენტები, რომლის მეშვეობითაც მხატვარ-რესტავრატორებმა შეძლეს საგამოფენო დარბაზებისთვის დაებრუნებინათ მისი პირვანდელი სახე.

აღდგენილია დავით არსენიშვილის, რევაზ ლალიძის, ჯორჯ ბალანჩინის, თეატრალური და სვეტებიანი დარბაზი, ასევე – კოლხი მედეას და ოქროს ვერძის ოთახები.

სასახლის სვეტებიან და თეატრის საგამოფენო სივრცეში განთავსდა მუზეუმის ფონდებში დაცული თეატრის უნიკალური ისტორიის ამსახველი ექსპონატები: კოსტიუმები, მემორიალური ნივთები, პარტიტურები, ხელნა-





წერები, აფიშები, ფოტოები, ასევე ცნობილი ქართველი მხატვრების პ.ოცხელის, გ. გაბაშვილის, ს. ქობულაძის, ელ. ახვლედიანის, ი. გამრეკელის, კ. ზდანევიჩისა და სხვათა გრაფიკული და ფერწერული ტილოები.

რევაზ ლაღიძის საგამოფენო დარბაზში სხვა ექსპონატებთან ერთად იხილავთ მის მემორიალურ როიალს, რომელზეც პირველად შეიქმნა პოპულარული ქართული სიმღერა „თბილისო".

სასახლის გახსნის დღეს, მის პირველ სართულზე ჯორჯ ბალანჩინის დარბაზში, თბილისის ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მხარდაჭერით გაიმართა "ნიუ-იორკ სითი ბალეს"" ფოტოგრაფის პაულ კოლნიკის ნამუშევრების პრეზენტაცია (გამოფენის ორგანიზატორი ნინო ანანიაშვილი), რომელიც მიეძღვნა ბალანჩინის ცხოვრებასა და შემოქმედებით მოღვაწეობას.

ღონისძიებას განსაკუთრებულ ელფერი შესძინა თბილისის მოზარდმაყურებელთა თეატრის მიერ, სპეციალურად ამ დღისთვის შექმნილმა კოსტუმირებული მეჯლისმა.

სიძველეთსაცავი თბილისში შემორჩენილი ერთადერთი სასახლის ტიპის მუზეუმია. როგორც უკვე ავღნიშნეთ იგი 8 მუდმივმოქმედ და 2 დროებით გამოფენებისათვის განკუთვნილ დარბაზებს მოიცავს. ყველა დარბაზი ისტორიული მნიშვნელობისაა. ისინი ქართველი, რუსი, ფრანგი და გერმანელი ოსტატების მიერ არის გაფორმებული. შემორჩენილია დარბაზების ისტორიული სახელწოდებებიც:

**ზამბახების დარბაზი** - წარმოდგენილია სასახლის მკვიდრთა, მათ შორის: გრაფ კონსტანტინე ოლდენბურგის, აგრაფინა ჯაფარიძის, ანდრია დადიანის პერიოდის ნივთები, ფერწერული ტილოები, გამოფენილია იაკობ გოგებაშვილის უნიკალური ავეჯი და სხვა.

**ოქროსფერი დარბაზი** - წარმოდგენილია ქართული კოსტიუმის ისტორია ადრეული შუა საუკუნეებიდან მე-20 საუკუნის პირველ ნახევრამდე. გამოფენილია საქართველოს მეფის თამარის სამეფო კოსტიუმი, რომელიც ვარძიის ფრესკის მიხედვითაა აღდგენილი, თეკლე დედოფლის ოქრომკედით ნაქარგი მე-17 საუკუნის უნიკალური მოსასხამი, მაჰმუდის კო-











თეატრის დარბაზი

სტიუმი ფილმიდან ”მამლუქი” და ქეთოს კაბა ფილმიდან ”ქეთო და კოტე”.

ლურჯი იადონების დარბაზი (მას ასევე რევაზ ლაღიძის სახელობის საგამოფენო დარბაზსაც უწოდებენ) - აქაურ კედლებზე მე-19 საუკუნის უნიკალური მხატვრობაა შემორჩენილი, ფანჯრები კი მოოქროვილი კარნიზებითაა გაფორმებული, იატაკის მხატვრული წყობა ევროპის ცნობილი სასახლეების მსგავსადაა შექმნილი. დარბაზში წარმოდგენილია ქართული მუსიკის ისტორია, გამოფენილია ცნობილი ქართველი კომპოზიტორების: რევაზ გოგნიაშვილის, ზაქარია ფალიაშვილის, დიმიტრი არაყიშვილის და სხვათა ნივთები, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია უნიკალური შავი როიალი, რომელზეც შექმნილია კომპოზიტორ რევაზ ლაღიძის ისეთი ცნობილი ნაწარმოებები, როგორებიცაა ”სიმღერა თბილისზე”, ოპერა ”ლელა” და სხვა.

**თეატრის დარბაზი** - წარმოდგენილია ქართული თეატრის ისტორია უძველესი დროიდან მე-20 საუკუნის 30-იან წლებამდე. გამოფენილია ქართული თეატრალური ფარდების ესკიზები, სათეატრო შენობებისა და თეატრალური დასების უნიკალური ფოტოები, ძვირფასი თეატრალური კოსტიუმები, ცნობილ მოღვაწეთა მემორიალური ნივთები, მე-19 საუკუნის ძვირფასი ავეჯი (მათ შორის ქართველი მწერლის შიო მღვიმელის კაბინეტი.

**სვეტებიანი დარბაზი** - აღნიშნული საგამოფენო სივრცე გაფორმებულია მოხატულობით, რომელიც 1860 წელს იტალიელი ჯუზეპე ფიორელის მიერ აღმოჩენილი ქალაქ პომპეის ფრესკების შთაგონებითაა შექმნილი. დარბაზი, ამჟამად, ქართული თეატრალური მხატვრობის ყველაზე დიდ საგამოფენო სივრცეს წარმოადგენს. აქ ნიკო ფიროსმანის, გიგო გაბაშვილის, შალვა ქიქოძის შედევრებთან ერთად ექსპონირებულია ისეთი ცნობილი თეატრალური მხატვრების ნამუშევრები როგორებიცაა: პეტრე ოცხელი, ირაკლი გამრეკელი, სოლიკო ვირსალაძე, სერგო ქობულაძე და სხვები.

**სიყვარულის კოშკი და კოლხი მედეას დარბაზი** - გადმოცემის მიხედვით სიყვარულის კოშკი სასახლეს მოგვიანებით მიაშენეს, მასში დღემდე შემორჩენილია ე.წ საიდუმლო ოთახი, სადაც ლეგენდის მიხედვით შეყვარებული წყვილი (გრაფი კონსტანტინე ოლდენბურგი და აგრაფინა ჯაფარიძე) ერთმანეთს ხვდებოდა. კოშკი ძვირფას ხელოვნების ნიმ-



გიორგი–ბალანჩინის დარბაზი



სვეტებიანი დარბაზი



სვეტებიანი დარბაზი



ოქროსფერი დარბაზი



ზამბახების დარბაზი

უშს წარმოადგენს, მისი კედლები ხელოვნების მოღვაწეთა XIX-XX საუკუნეების ტილოებითაა დამშვენებული, ჭერი კი ძვირფასი მხატვრობითაა გაფორმებული. აქვეა უნიკალური დახვეული კიბე, რომელსაც დამთვალიერებელი სასახლის მეორე სართულზე კოლხი მედეას ოთახში აჰყავს, დარბაზის ჭერზე ცნობილი ბერძნული მითის "იასონი და არგონავტები"-ს პერსონაჟებია წარმოდგენილი. აქვეა გამოფენილი ქართული ფრესკის ასლები და იტალიური მხატვრობის საუკეთესო ნიმუშები. კოლხი მედეას ოთახი ბერძნულ დარბაზსა და შალვა დადიანის ფლიგელს უკავშირდება.

სასახლე, რომელშიც საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმია მოთავსებული 1895 წელსაა აშენებული. იგი მტკვრის მარცხენა სანაპიროზე თბილისის ერთ-ერთ ძველ უბანში მდებარეობს და არქიტექტორ პოლ შტერნის მიერაა დაპროექტებული. თუმცა შენობა შემდგომშიც არაერთხელ გადაკეთდა.

შტერნი იმ დროის ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული არქიტექტორი იყო. სასახლის სტილი, ერთი მხრივ, “აგურის გოთიკას” ენათესავება, ხოლო მეორე მხრივ, დიდ ადგილს უთმობს ისლამური არქიტექტურისათვის დამახასიათებელ დეტალებს. ოლდენბურგის სასახლე თბილისურ ტრადიციასაც მნიშვნელოვნად სცილდება: ციხე-დარბაზის ტიპის ნაგებობას აქვს ღია ტერასა, ქვის მოაჯირიანი კიბე, შუა ბასტიონი აზიდული ციცაბო სახურავით და სამსართულიანი კოშკი საიდუმლო ოთახით; მთავარ ფასადზე თავმოყრილი შეისრული თაღები, კედელში ჩასმული ვარდულები, მოაჯირის წვრილი სვეტები გოთური სტილიზაციის უჩვეულო და საინტერესო ნიმუშს ქმნის. შენობას, რომელიც ორ ნაწილად იყოფა, 1900-იან წლებში სამხრეთით რამდენიმე ოთახი მიაშენეს. არსებობს ვარაუდი, რომ შუალედური პროექტის ავტორი ხუროთმოძღვარი ალექსანდრე როგოისკი უნდა ყოფილიყო. XX-საუკუნის 40-იან წლებში კი, სტალინიზმის ეპოქაში, საბჭოთა არქიტექტორების მიერ შენობის გაგრძელებად სამსართულიანი ნაგებობა დაიდგა, რომელიც გარე ფასადზე ზუსტად იმეორებს ისტორიული სასახლის მხატვრულ იერსახეს. ცალკე აღნიშვნის ღირსია მთავარ ბასტიონზე გამოსახული გერბი, სადაც ფარზე მითიური ცხოველი მონოცეროზია გამოქანდაკებული. ესაა ძველ საბერძნეთსა და რომში რეალურ ცხოველად მიჩნეული თეთრი ცხენი შუბლზე დიდი რქით, რომელიც უბიწოებისა და სულიერი სიწმინდის სიმბოლოდ ითვლებოდა. ეს მითიური არსება არაერთგან გვხვდება (შოტლანდიის, ინგლისისა და კანადის გერბებზე და ივანე მრისხანის ტახტზე). ე.წ. “რქოსანი ცხენი” იოანე ბატონიშვი-



ლურჯი იადონების დარბაზი



არსენიშვილის დარბაზი



კოლხი მედეას დარბაზის ჭერის მოხატულობა



კოშკის ჭერის მოხატულობა

ლის ცნობებზე დაყრდნობით დავით აღმაშენებლის გერბზეც იყო დატანილი.

გრაფ ოლდენბურგის სასახლის არქიტექტურული ნაწილი, რომელიც ნაგებობის ისტორიულ და ე.წ ახალ ფლიგელს ერთმანეთთან აკავშირებს, მისი საშუალებით სასახლის წინა ეზო ასევე შიდა ბაღს უერთდება. 2011 წელს შენობის სრულმასშტაბიანი რესტავრაცია-რეაბილიტაციის დროს გადაწყდა, რომ თაღს მემორიალური მნიშვნელობაც შეეძინა. 2013 წლიდან კი თაღის კედლებზე ქართული სასცენო და კინო ხელოვნების კორიფეთა ანაბეჭდები გაჩნდა (ინიციატორი გ. კალანდია). **უკვდავთა თაღში** პირველი ანაბეჭდი რეჟისორმა ელდარ შენგელიამ დატოვა. აქვეა ოთარ მეღვინეთუხუცესის, კახი კავსაძის, გივი ბერიკაშვილის, პაატა ბურჭულაძის, ელისო ვირსალაძის, რეზო ჩხეიძის, ოთარ კობერიძის, თენგიზ არჩვაძის ანაბეჭდები. ხელის ანაბეჭდის გახსნა განსაკუთრებული საზეიმო ცერემონიალია, ამ დროს სასახლის წინა ეზო და უკვდავთა თაღის ქვაფენილი წითელი ხალიჩით ირთვება, სასახლეში მაღალი დონის სტუმრები მოდიან, იმართება გამოფენები და კონცერტები ღია ცის ქვეშ. თაღის შესასვლელში მარმარილოს ფილაზე ამოტვიფრულია კონსტანტინე გამსახურდიას ცნობილი სიტყვები ''ხელოვნებაა თავად უკვდავება, მხოლოდ ოსტატს ვერ ეწევა სიკვდილი".

**უკვდავთა ბაღი** 2009 წელს გრაფ ოლდენბურგის სასახლის ტერიტორიაზე დაარსდა. ბაღის გაშენება (ინიციატორები: გ. კალანდია, ი. ზამბახიძე, ნ. თოდუა, ი. მოისწრაფიშვილი) მას შემდეგ მოხდა, რაც შიდა ეზოში საბჭოთა პერიოდის საერთო სასადილო დაინგრა და მის კედლებში მე-19 საუკუნის საჯინიბოს კედლები გამოჩნდა. ნაგებობის ეს ძველი ფრაგმენტები ტერიტორიაზე დღემდე შემორჩენილია. მუზეუმის ეზოში არსებული ბაღი, არამარტო დასვენებისა და გართობის ადგილია, არამედ ამასთანავე იგი ქართული სასცენო და კინოხელოვნების ცნობილ წარმომადგენელთა ხსოვნას უკვდავყოფს (აქედან წარმოიშვა ბაღის სახელწოდებაც). აქ წარმოდგენილია ირაკლი გამრეკელის, რამაზ ჩხიკვაძის, ნიკოლოზ შენგელაიას, ვასო გოძიაშვილის, ვალერიან გუნიას, შალვა ღამბაშიძის, მელიტონ ბალანჩივაძის, ანდრია ბალანჩივაძის, ჯანო ბაგრატიონის მარმარილოსა და ბრინჯაოს ბიუსტები. 2012-2013 წლებში ბაღში სოფიკო ჭიაურელის, არჩილ კერესელიძისა და გურამ საღარაძის ბარელიეფებიც გაიხსნა. ბაღში უნიკალური ენდემური მცენარეები ხარობენ, ნაძვები სპეციალურად ჩამოტანილია ტაო-კლარჯეთის ისტორიული ადგილებიდან, კერძოდ, ოშკის, იშხნისა და ბანას ტაძრების ეზოებიდან. აქვეა ბორჯომის ხეობიდან გადმორგული წიწვოვანი მცენარეები, უფლისციხის ნაქალაქარიდან ჩამოტანილი ბუჩქები, დადიანების სასახლის ეზოდან გადმორგული კოლხური ბზები, ოქროსფერი და ალისფერი ვარდები ირლანდიიდან, მირონის ხეები კოლხეთის დაბლობიდან, ჰირაკლიონები შავიზღვისპირეთიდან და ასე შემდეგ.







უკვდავთა ბალი



# Art Palace

On May 18th, Ambassador Norland, Museum Director Giorgi Kalandia, and Deputy Minister of Culture Manana Berikashvili opened eight newly restored historic halls of the Count of Oldenburg's Palace, a unique 19th century building on Georgia's National Heritage list. The Palace on 6 Kargareteli Street currently houses the Museum of Theatre, Music, Cinema and Choreography. Restoration and conservation of the halls, including one named in Balanchine's honor, were funded by the U.S. Embassy. An exhibit of photographs by the New York City Ballet Photographer Paul Kolnik, organized by Nina Ananiashvili, was also opened the same day in the Balanchine Hall. The exhibit is dedicated to the celebration of 110th anniversary of George Balanchine's birth.



უკვდავთა თალი





# თბილისის ერთ-ერთი კოლორიტული უბნის რეაბილიტაცია

არქიტექტორები: გ. ნადირაძე, გ. გეგელია
კონსტრუქტორი: ი. მიქაბაძე

Location: Old Tbilisi, Chakhrukhadze and Shavteli streets
Architects: G. Nadiradze, G. Gegelia
Constructor: I. Mikabadze

თბილისის ერთ-ერთმა ყველაზე ლამაზმა და კოლორიტულმა უბანმა ახალი სიცოცხლე შეიძინა. შავთელის და ჩახრუხაძის ქუჩებზე სარეაბილიტაციო სამუშაოები თბილისის განვითარების ფონდმა 2010 წელს დაიწყო.

აშენდა და რეკონსტრუქცია ჩაუტარდა 8 სახლს, კომფორტული საცხოვრებლით დაკმაყოფილდა 22 ოჯახი. დასრულდა ათეულობით შენობის რეაბილიტაცია, კეთილმოეწყო ტროტუარები, და გაკეთდა გამწვანების ზოლი. ქუჩების მთელ სიგრძეზე დამონტაჟდა ახალი, თანამედროვე გარე-განათების სისტემა.

სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებამდე, არქიტექტორებმა, გიული გეგელიამ და გია ნადირაძემ, კონსტრუქტორთან და გეოლოგებთან ერთად ჩაატარეს კვლევა და შეისწავლეს შენობების და არსებული მიწისქვეშა ინფრასტრუქტურის ფიზიკური მდგომარეობა, რის შემდეგაც დაიწყო სამშენებლო სამუშაოები. 2012 წლის ბოლოს ყველა დაგეგმილი სამუშაოების და სახლების რეაბილიტაცია დასრულდა. გამაგრდა თითოეული სახლის საძირკველი, მოიჭიმა კედლები, მთლიანად შეიცვალა გადახურვის კონსტრუქციები და საფარი. გამოიცვალა ფუნდამენტის დაზიანებული ნაწილები, გამაგრდა მზიდი კედლები, საძირკველი იზოლირებულ იქნა წყლისაგან. ეზოებში მოეწყო სანიაღვრე და მოწესრიგდა მიწისქვეშა კომუნიკაციები. გამოიცვალა შენობების ძველი ამორტიზირებული სახურავი და აღდგა ფასადის უნიკალური, ისტორიული იერსახე, დაზიანებული არქიტექტურული ნაძერწი ელემენტები, არქიტექტურული დეტალები. რეკონსტრუქცია გაუკეთდა არსებულ აივნებს, გამოიცვალა კარ-ფანჯარები, შეიცვალა სადარბაზოების კარები და ეზოს კარიბჭეები.

შავთელის და ჩახრუხაძის ქუჩების რეაბილიტაციის შედეგად, თბილისს კიდევ ერთი ულამაზესი ადგილი შეემატა, რომელიც თავსებადია ძველი ქალაქის ამ უბნის არქიტექტურასთან.





**ჩახრუხაძის ქ. № 9**

პროექტში გათვალისწინებული იქნა არსებული და 90-იან წლებში დანგრეული შენობის ძველი სურათების მიხედვით აღდგენა და რეაბილიტაცია, აგრეთვე მანსარდის მოწყობა.

შენობის კონსტრუქცია კარკასულია, შევსება მოხდა საკედლე ბლოკებით, მთელი შენობა გარედან მოპირკეთდა ქართული აგურით, ძველი შენობის დეკორის, კარნიზების გამეორებით. ცოკოლი მოპირკეთდა ქვით. სახურავი დაიფარა კერამიკული კრამიტით.

### ჩახრუხაძის ქ. № 11

პროექტში გათვალისწინებული იქნა არსებული ავარიული და ამორტიზირებული შენობის დაშლა და იმავე ადგილას ძველი შენობის რეაბილიტაცია, მანსარდის მოწყობა.

შენობის კონსტრუქცია კარკასულია, შევსება მოხდა საკედლე ბლოკებით, მთელი შენობა გარედან მოპირკეთდა ქართული აგურით, ძველი შენობის დეკორის, კარნიზების გამეორებით. ცოკოლი მოპირკეთდა ქვით. სახურავი დაიფარა კერამიკული კრამიტით.















### ჩახრუხაძის ქ. № 13

პროექტში გათვალისწინებული იქნა ჩახრუხაძის ქ. №13 და შავთელის ქ. №12 არსებული 2-სართულიანი ამორტიზირებული შენობის დანგრევა და ახალი 3-სართულიანი შენობის, მანსარდით მოწყობა. შენობა ჩახრუხაძის ქუჩიდან გადაწყვეტილია კლასიკურ სტილში, რომელიც დამახასიათებელია ამ უბნისთვის, შავთელის მხარეს შენობა გადაწყდა ძველი თბილისური სახლების სტილში, შიდა ეზოთი, რიკულებიანი აივნებით და ხის კოლონებით.

შენობის კონსტრუქცია კარკასულია, შევსება მოხდა საკედლე ბლოკებით. ფასადი გაილესა რუსტით და მოეწყო ორნამენტირებული სარკმელები კარებით, ჩარჩოებით და კარნიზებით.

ფასადი შეიღება მაღალი ხარისხის გერმანული საღებავით მოცემული კოლორის მიხედვით.

შავთელის ქუჩის მხარეს ფასადები გარედან მოპირკეთდა ქართული აგურით, აივნები შეიმოსა ხით. სახურავი დაიფარა კერამიკული კრამიტით.







**შავთელის ქ.№ 5-7**

პროექტში გათვალისწინებული იქნა არსებული შენობის რეაბილიტაცია, კერძოთ, ავარიული კედლების გამაგრება, დრენაჟის გაკეთება, ფლიგელში ცოკოლის რუსტით ლესვა, ფანჯრების მოჩარჩოება არსებული ანალოგის მიხედვით, მანსარდის მოწყობა შავთელის ქ. მხარეს პარაპეტის 72 სმ. აწევისა და სახურავის კეხის 50 სმ. გაზრდით. შენობის დაზიანებული ბათქაში ჩამოიხსნა და შეილესა, არსებული კარ-ფანჯრები გაიწმინდა და შეიღება არსებულის ანალოგიურად, დაზიანებული ხის კარ-ფანჯრები შეიცვალა ახლით. ყველა ფასადები შეიღება მაღალი ხარისხის ფასადის საღებავით არსებული ფერების მიხედვით. შავთელის ჩიხში მოეწყო კიბის საფეხურები.















### შავთელის ქ.№ 3

პროექტში გათვალისწინებული იქნა არსებული ავარიული უსახური შენობის დანგრევა და იმავე გაბარიტებში ახალი შენობის დაპროექტება.

შენობის კონსტრუქცია კარკასულია, შევსება მოხდა საკედლე ბლოკებით, მთელი შენობა გარედან მოპირკეთდა ქართული აგურით, ცოკოლი გაილესა რუსტით. სახურავი დაიფარა კერამიკული კრამიტით.









### შავთელის ქ.№6

პროექტში გათვალისწინებული იქნა არსებული ავარიული და ამორტიზირებული შენობის დაშლა და იმავე ადგილას ძველი შენობის რეაბილიტაცია, ყველა ოჯახისათვის სანკვანძების მოწყობა.

შენობის კონსტრუქცია კარკასულია, შევსება მოხდა საკედლე ბლოკებით, მთელი შენობა გარედან მოპირკეთდა ქართული აგურით, ძველი შენობის დეკორის, კარნიზების გამეორებით. სარდაფის სართულის ფანჯრები შეიმოსა დეკორეტიული ლითონის ცხაურით, ნახაზის მიხედვით. სახურავი დაიფარა კერამიკული კრამიტით.









## შავთელის ქ.№8

პროექტში გათვალისწინებული იქნა არსებული ერთსართულიანი ავარიული შენობის და მის მიმდებარე ავტოფარეხის დანგრევა და ახალი შენობის პროექტირება არსებულ 3-სართულიან სასტუმროსთან ერთად. პირველი და მეორე სართულების ზემოთ მოეწყო ღია ტერასები. შენობის კონსტრუქცია კარკასულია, შევსება მოხდა საკედლე ბლოკებით, ერთსართულიანი შენობა გარედან მოპირკეთდა ქართული აგურით, ცოკოლი - ბუნებრივი ქვით. სასტუმრო გაილესა რუსტით, მოეწყო კარნიზები და შეიღება მაღალი ხარისხის ფასადის საღებავით მოცემული კოლორის მიხედვით. მესამე სართულის თუნუქის სახურავი შეიღება შინდისფრად.











# "ავერსის" მრავალპროფილური ახალი კლინიკა







2014 წლის 11 ივლისს, **მრავალპროფილური კლინიკისთვის არქიტექტურული ესკიზური პროექტის შესარჩევად კომპანია „ავერსის" ეგიდით გამოცხადდა კონკურსი**

კონკურსი ჩატარდა მრავალპროფილური კლინიკის შენობის დაპროექტებაზე (მის: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის №16, საკადასტრო კოდი: 01.10.15.022.034)

კონკურსის მიზანი – მითითებული ტერიტორიისთვის შერჩეულიყო საუკეთესო ესკიზური პროექტი.

კონკურსი იყო ღია და ანონიმური. მასში მონაწილეობა მიიღეს დიპლომირებულმა არქიტექტორებმა.

საკონკურსოდ წარდგენილი იქნა ოცამდე პროექტი.

თითოეულმა კონკურსანტმა წარმოადგინა:განაცხადი; ამობეჭდილი პროექტი ვერტიკალურად განთავსებული A2 ზომის მაქსიმუმ ორ ფორმატზე; კომპაქტურ დისკზე (CD) ჩაწერილი პროექტის ელექტრონული ვერსია PDF ან JPG ფორმატში; დალუქული კონვერტი, რომელშიც მოთავსდა ინფორმაცია ავტორის შესახებ.

ასევე: განმარტებითი ბარათი (A4 ზომის ფორმატი, N12 შრიფტი, არაუმეტეს 3 ფურცლისა) ოთხ ეგზემპლარად.

კონკურსზე წარსადგენ ყველა მასალაზე (CD, დალუქული კონვერტი და განმარტებითი ბარათი) მარჯვენა ზედა კუთხეებში აღნიშნული იყო დევიზი –არათანმიმდევრული ექვსნიშნა რიცხვი.

**პროექტის შემადგენლობა** მოიცავდა: გენერალური გეგმას (მ. 1:500); ტიპიური სართულის სქემას (კიბის უჯრედისა და ლიფტების მითითებით. მ. 1:100); მინიმუმ ორი ფასადს (მ. 1:100); პერსპექტიული ჩანახატებს ან რენდერებს (მინიმუმ ორი);

საკონკურსო მასალები ხელმისაწვდომი გახდა 2014 წლის 11 ივლისიდან.

საკონკურსო მასალების ჩაბარების ბოლო ვადა იყო **2014 წლის 28 ივლისის, 14.00 საათამდე.**

პროექტების გამოფენა გაიხსნა ავერსის კლინიკის სააქტო დარბაზში 2014 წლის 29 ივლისს. საკონკურსო კომისიამ იმუშავა ორი დღის განმავლობაში (2014 წლის 29-30 ივლისი).

შედეგები გამოცხადდა 2014 წლის 31 ივლისს 12.00 საათზე, ავერსის კლინიკის სააქტო დარბაზში.

კონკურსში გამოვლინდა სამი საუკეთესო ესკიზური პროექტი:

პირველი პრემია მოიპოვა პროექტმა დევიზით – 786222 ; ავტორები – ლერი გოშაძე, დავით გოშაძე;

მეორე პრემია მიენიჭა პროექტს დევიზით – 972514; ავტორები – გაიოზ ხაჭაპურიძე, ეკატერინე აბაკელია;

მესამე პრემია კი პროექტს დევიზით – 738261 ; ავტორი – ლადო შონია

კონკურსში გამარჯვებულთათვის დაწესდა:

ერთი I პრემია - 5000 ლარი;
ერთი II პრემია - 3000 ლარი;
ერთი III პრემია - 1000 ლარი.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე გახლდათ კომპანია „ავერსის" დამფუძნებელი ბატონი პაატა კურტანიძე, საკონკურსო კომისიის წევრები იყვნენ „ავერსის" კლინიკის გენერალური დირექტორი დიმიტრი ჯორბენაძე, კონკურსის ორგანიზატორთა სხვა თვალსჩინო წარმომადგენლები, არქიტექტორები („საქართველოს არქიტექტორთა ასოციაცია") და კონსტრუქტორები. საკონკურსო კომისიის მუშაობის რეგლამენტი მდგომარეობდა შემდეგში:

საკონკურსო კომისიის თითოეულ წევრს ჰქონდა ერთი ხმის მიცემის უფლება; გადაწყვეტილების მიღება მოხდა ხმების უმრავლესობით;. გადაწყვეტილების გამოტანის მსვლელობა და შედეგი საკონკურსო კომისიამ დააფიქსირა შესაბამის ოქმში.

**საკონკურსო პროექტები შეფასდა შემდეგი კრიტერიუმებით**: შესაბამისობა საკონკურსო პირობებთან; ფუნქციური გადაწყვეტა; არქიტექტურულ-მხატვრული დონე; ორგანული კავშირი გარემოსთან; ენერგიადამზოგავი ტექნოლოგიების გამოყენება.

კონკურსის შედეგები ფართოდ გაშუქდა მასმედიის საშუალებით.



პირველი პრემია
მოიპოვა პროექტმა
დევიზით - 786222;

ავტორები:
ლერი გოშაძე,
დავით გოშაძე

მეორე პრემია მიენიჭა პროექტს დევიზით - 972514;
ავტორები: გაიოზ ხაჭაპურიძე, ეკატერინე აბაკელია;



მესამე პრემია კი პროექტს დევიზით - 738261;
ავტორი: ლადო შონია



# Киевский международный мебельный форум KIFF-2014: ВЫСШИЙ БАЛЛ!






В конце мая в столице Украины состоялось самое престижное в Украине событие для профессионалов мебельной отрасли, производителей и байеров, дизайнеров и архитекторов – «Киевский международный мебельный форум» (KIFF) и международная выставка МТКТ Innovation.

**Мебельный форум KIFF – это крупнейшее событие** в сфере мебели и дизайна, которое за свою более чем двадцатилетнюю историю стало для производителей, импортеров и дизайнеров самым ожидаемым событием года.

В столь нелегкое для экономики страны время в этом году выставка ознаменовалась большим успехом: участие в форуме приняли более 300 ведущих компаний из 7 стран мира, которые представили свои проекты на экспозициях, расположенных на 20 тысячах квадратных метров в 3 павильонах выставочного центра «КиевЭкспоПлаза». **KIFF** посетили более 20 тысяч человек, выставка освещалась 52 журналистами Украины и СМИ зарубежных стран.

**Акцент Форума 2014 года** был сделан на эксклюзивной презентации экспозиции, концепт которой был разработан специально для KIFF итальянской студией **Adriani & Rossi.**

Впечатляющее количество новинок от участников, захватывающая творческая атмосфера, авторские семинары и мастер-классы от известных дизайнеров и архитекторов – таким увидели KIFF его многочисленные гости.

Открытие выставки посетил Алессандро Джербино, директор отдела развития торгового обмена при Посольстве Республики Италия в Украине. Алессандро Джербино поздравил организаторов – ООО «Киевский международный контрактовый ярмарок» – с

успешной реализацией «Киевского международного мебельного форума» и «МТКТ Innovation», отметив качественно новый уровень презентации и представительность брендов в итальянском павильоне. По словам г-на Джербино, «многолетнее сотрудничество Ассоциации итальянских мебельщиков Federlegno Arredo с KIFF стало залогом успеха, невзирая на любые экономические сложности, ведь настоящие









партнеры всегда вместе – и в хорошие времена, и в сложные».

Также на открытии выступил Президент Украинской Ассоциации Мебельщиков Дячук Дмитрий Иванович с благодарностью за прекрасно организованную выставку и поддержку отечественного производителя. Стоит отметить, что в первый день «Киевского международного мебельного форума» в павильоне View прошел съезд Украинской Ассоциации мебельщиков.

В этом году на KIFF многие фабрики анонсировали новые линии и направления: так, компания Elio представила линию кухонь среднего сегмента Elnova дизайна Adriani & Rossi, известный производитель диванов Blest представил линию кроватей с мягкими изголовьями, новая линия креативных диванов от торговой марки Dizi, впервые на KIFF свою коллекцию из массива дерева представила украинская фабрика Woodwerk.

Традиционное место встречи всех поклонников дизайна – итальянский павильон Best Seller Italia – в этом году тоже встречал новые для украинской аудитории имена: знаменитая фабрика элитной мебели в стиле ар-деко Smania, производитель люстр из хрусталя Miniluce, кухни в стиле неоклассика и модерн от Floritelli и новинки прямо с миланской выставки от Gruppolampe. Также свою лучшую продукцию выставили уже полюбившиеся нашим архитекторам, дизайнерам и просто ценителям красоты известные итальянские бренды, такие, как Savio Firmino, Porada, Swan, Malerba, Modenese Gastone, Euroluce Lampadari, SMA, Smeg, Jago, Bizzirri Ceramiche, Cavio, Ceramic Arte Deruta, Doimo Sofas, Keoma, Mezzaluna,

Mobilpiu, Il Paralume, Senzatempo, Talenti и многие другие. Немецкая мебель от Hэlsta и швейцарская outdoor-коллекция от Mazuvo привнесли нотку модного минимализма в роскошь итальянского дизайна.

В рамках KIFF прошли многочисленные мастер-классы, семинары и конференции. Большой интерес вызвала конференция «Обзор тенденций в сфере HoReCa в Италии и Милане, мировой столице дизайна», на которой спикер Анна Коломиец провела для слушателей виртуальную экскурсию по лучшим дизайн-отелям, ресторанам







и барам Милана и презентовала программу обучения на курсе HoReCa Design при POLI.Design – Politechnico di Milano. Также участникам конференции Никола Тикоцци, член жюри конкурса Premio Le 5 Stagioni и директор курсов HoReCa Design, предложил принять участие во II Международном конкурсе дизайна Premio Le 5 Stagioni – «Проектировать пиццерии будущего, инновация в сфере пиццерий».

Бердинских Валентина рассказала архитекторам и дизайнерам о первом дизайн-отеле в Украине – 11 MIRRORS – и об истории и практике создания таких отелей во всем мире.






Известный итальянский дизайнер Марко Полетти провел мастер-класс «Лидеры нового MADE IN ITALY в сегментах «дизайн» и «контракт», на котором поделился секретами создания успешного предметного дизайна для индивидуальных и коммерческих проектов.

С абсолютным аншлагом прошел мастер-класс основателя сети салонов «100% интерьер» Виталия Ивахова, на котором профессиональная аудитория из первых рук узнала, как создать собственную систему стилей.

Интерес специалистов – участников и гостей форума – вызвала презентация программы швейцарского правительства SIPPO, призванной помогать малым и средним предприятиям-производителям Украины в продвижении продукции собственного производства на экспорт, преимущественно в страны Европы и в Швейцарию. (Докладчик – Прохоров Юрий.) Кроме того, Михаил Лесняк, эксперт по вопросам внешнеэкономической деятельности, директор компании OutVed, выступил с докладом «Общие вопросы осуществления экспорта в ЕС».

30 мая на KIFF в третьем павильоне на коммуникативной площадке ItalyHome состоялось награждение финалистов интерьерной премии INTERIUM. На конкурс было подано 147 проектов






дизайнеров и архитекторов из Украины, Казахстана, России, Грузии, Италии, Молдовы и Литвы. В шорт-лист попала 41 работа, и все посетители KIFF могли ознакомиться с проектами финалистов. Партнерами конкурса стали журнал «Архидея» и дизайн-отель 11 MIRRORS. Также на «Киевском международном мебельном форуме» вручали ежегодную премию для украинских производителей «Кращі меблі України» – «Хрустальную пирамиду», символ статуса и успеха на мебельном рынке.

Территория «Киевского международного мебельного форума стала» местом, на котором развернулись яркие и необычные проекты, такие, как Spazio Design (концепт – итальянская студия Adriani & Rossi, арт-куратор Сергей Махно), представивший украинские бренды в дизайн-пространстве, Casa Villa Grazia (концепт-проект компании Villa Grazia), а также площадка ItalyHome (концепт Стефано Адриани и выставки KIFF).

Все участники выставки отметили высокий уровень проведения мероприятия, большое количество заключенных контрактов, качественное посещение и интересную программу KIFF.




**Alessandro Gerbino (Алессандро Джербино), директор Агентства по развитию и интернационализации итальянских компаний:**

Украина и Италия – давние коммерческие партнеры, Италия занимает 6-е место в мировом списке партнеров Украины по товарообороту и 3-е среди европейских стран, а в мебельном сегменте мы являемся лидером в плане коммерческого партнерства. Поэтому подобное сотрудничество крайне важно для нас.

Наше основное ожидание от выставки – то, что итальянские компании, которые сегодня приехали сюда, смогут найти здесь партнеров, это место, где они могут встретиться и поговорить с заказчиками о конкретных проектах. Безусловно, на KIFF мы всегда готовим какие-то новинки, то, чем можно удивить гостей выставки. Особенно, учитывая тот факт, что на KIFF приходят не только конечные потребители, но и дизайнеры, и архитекторы, которые также могут дать свои советы или обсудить новые тренды в интерьере и дизайне.

И мне нравится, что эти инновации представлены не только на стендах, но и в мастер-классах и презентациях, которые проводятся здесь, на выставке ведущими архитекторами и дизайнерами.

Здесь, в третьем павильоне я увидел множество итальянских компаний, из года в год приезжающих на выставку, которые уже давно работают на украинском рынке и всегда подтверждают свою готовность к сотрудничеству.

**Катерина Тульчинская, PR-менеджер компании Villa Grazia:**

KIFF-2014 стал совершенно особенным для компании: для посетителей выставки Villa Grazia подготовила грандиозный концепт-проект. КМКЯ и Стефано Адриани (студия Adriani &

Rossi), арт-директор выставки KIFF, совместно с Villa Grazia разработали концепт настоящего дома.

В основе идеи концепт-проекта в стиле Villa Grazia – тщательный отбор предметов мебели, освещения и декора от авторитетных мировых брендов для создания Дома в любимых компанией стилях – сдержанной классике, стилях прованс и кантри-шик. В этом проекте были представлены знаковые европейские фабрики: Salaiolo, Imas, Bizzirri, Esmor, Il Paralume, Silvano Grifoni, Capanni и другие европейские производители.

Наш проект вызвал живой интерес у дизайнеров и архитекторов, посетивших KIFF-2014, подтверждая, что высокий стиль и безупречное качество становятся все более востребованными.

Поскольку компания Villa Grazia ежегодно принимает участие во всех крупных мебельных выставках, в скором времени мы планируем начать разработку концепта для участия в осенней выставке Design. Living Tendency.





# Beauty Salon SAKURAMI

*designers Zviad Surguladze and Giorgi Bigvava*

Georgian architects traditionally win leading places in INTERIUM Competition; as expected - in the Public Interior Nomination.

This year, Georgian designers Zviad Surguladze and Giorgi Bigvava won the 1st place for their project “Beauty Salon SAKURAMI”.

The project is realized in 19 Petrovka Street, downtown Moscow.

The salon offers 24/7 services. Its interior design is developed very meticulously; each element is tailor-made – handmade wallpaper, manicure tables, chairs and bar stand in the lobby, floor to ceiling shelves, a set of sliding mirrors, a 138-bulb light fixture, exposition of paintings – all these are created exclusively for SAKURAMI. Central conception of beauty salon design is creative organization of space, which turns SAKURAMI into an original piece of art.









# სილამაზის სალონი "საკურამი"

დიზაინერები ზვიად სურგულაძე და გიორგი ბიგვავა

ეს პროექტი განხორციელებულია მოსკოვის ცენტრში, პეტროვკის ქ. №19-ში. სალონი სადღეღამისო პრინციპით მ უშაობს. ინტერიერის დიზაინზე მუშაობისას, ავტორებმა უმცირესი დეტალებიც კი გათვალეს; სალონის დეკორი ყოველი ელემენტი უნიკალურია - ხელნაკეთი შპალერი, მანიკურის მაგიდები, მოსაცდელ ოთახში დალაგებული სკამები და ბარი, მთელ კედელზე გაშლილი ხის სტელაჟი, მოძრავი სარკეების კონსტრუქცია და 138-ნათურიანი სანათი, სურათების ექსპოზიცია - ყოველივე ეს ექსკლუზიურად „საკურამისთვის“ შეიქმნა. დიზაინერების სურვილი იყო სილამაზის სალონი შემოქმედებითი სივრცე ყოფილიყო, რაც, საბოლოო ჯამში, „საკურამის“ ერთგვარ არტ-ობიექტად აქცევს.











# დასამახსოვრებელი მოდური ბინა



სტუდია „იაკუშა დიზაინი“
**www.yakusha.com.ua**





ფართობი: 190 კვ.მ.
მდებარეობა: კიევი

დასამახსოვრებელი, თვითმყოფადი, ემოციებით დატვირთული - ყველაზე კარგად ეს სიტყვები ახასიათებს კიევის ერთ-ერთ ახლად აშენებულ სახლში მდებარე ბინას, რომლის დიზაინიც დამკვეთი ქალბატონივით გაბედული და ამბიციურია. ახალგაზრდა ქალმა, რომელმაც სტუდია „იაკუშას“ მიმართა, გადაჭრით მოითხოვა შეექმნათ მისთვის არაორდინარული, საზეიმო, მაგრამ იმავდროულად მყუდრო და კომფორტული საცხოვრებელი. საკმაოდ უჩვეულო ამოცანა გამოიკვეთა - დიზაინი უნდა ყოფილიყო მდიდრული, მაგრამ არა მყვირალა, ძირითადი აქცენტების სიმკვეთრეს არ უნდა დაერღვია საერთო სტილისტიკის წყნარი ჰარმონია. კლიენტის ენთუზიაზმი იმდენად გადამდები იყო, რომ დიზაინერებმა იმთავითვე დაიწყეს მუშაობა. უჩვეულო სტილის ინტერიერი მაინც ეხმიანება სტუდია „იაკუშას“ ძირითად პრინციპებს: იგი დასამახსოვრებელი და მოდურია, მაგრამ საკმაოდ ლაკონური და მკაცრი.

საცხოვრებლის ძირითადი ნაწილი - შესასვლელი, მისაღები ოთახი, სამზარეულო - თეთრია, ამ ზონას ერთადერთი მძლავრი აქცენტი ალამაზებს - წითელი ტყავისგან შესრულებული ხელნაკეთი ვარდების კედელი. ვარდების კედელი აერთიანებს შესასვლელის და მისაღები ოთახებს და იმავდროულად მთელ ამ სივრცეში დომინანტის როლს ასრულებს, არადა თავდაპირველად ეს კედელი - ერთ-ერთი მზიდი - ხელისშემშლელ ფაქტორად ესახებოდა დიზაინერებს. კედელზე მიკრული 2000 ხელნაკეთი ვარდი განუმეორებელ ფაქტურას და ფერს ქმნიან. კედელში დატანილი კარებიც ყვავილების ფერს იმეორებს, რაც სიბრტყის უწყვეტობის ილუზიას ქმნის.

მისაღებ ოთახს პრიალა თეთრი ავეჯი და ჩაშენებული ბიო-ბუხარი ამშვენებს. თეთრ ტონებში შესრულებული ავეჯი ვიზუალურ-









ად აერთიანებს ინტერიერს. საცხოვრებელში მდებარე ავეჯი და ტექნიკა წამყვანი, მოდის სამყაროსთან ამა თუ იმ კავშირის მქონე საერთაშორისო ბრენდების მიერაა დამზადებული. ცალკე აღებული ყოველი ნივთი შეიძლება მყვირალად მოგეჩვენოთ, მაგრამ საერთო კონცეპციის ფარგლებში ოსტატურად განაწილების წყალობით, ისინი განსაკუთრებულ ელეგანტურობას სძენენ დიზაინს. მისაღები ოთახის ცენტრში დგას სვაროვსკის კრისტალებით მოჭედილი ბარი, რომლის რბილი, ლივლივა სილუეტი ლოგიკურად ასრულებს ოთახის დიზაინს.

ინტერიერის დიზაინის მარგალიტია სამზარეულო. ეს უნიკალუ-





რი, გაბედული და კრეატიული სივრცე ფუნქციურადაც შესანიშნავადაა გამართული. მის ცენტრში განთავსებულია გამწოვი, პლიტა, ონკანი და შამპანურისთვის განკუთვნილი მაცივრები. ყოველივე ჩამოთვლილი დაიტია სფეროსებრმა ფუნქციურმა კუნძულმა. სივრცეს ვიზუალურად ზრდის ერთერთ კედელზე მოწყობილი სარკის მოზაიკა. სამზარეულოს ასევე აქვს დამატებითი სამუშაო სიბრტყეები, ტექნიკისთვის განკუთვნილი სათავსოები და მრავალრიცხოვანი უჯრები.

ძალიან მსუბუქი, ნაზი, მაგრამ სახასიათოა საძინებლის დიზაინი. თავისუფლებისა და თვითმყოფადობის განსაკუთრებულ შეგრძნებას ბადებს შანელის სტილის ავეჯი, რომელიც შანელის ყველა სხვა ქმნილებასავით დახვეწილი და გემოვნებიანია. დალიანდაგებული ვერტიკალური სიბრტყეები, ღილებიანი აქსესუარები, სახელურების ნაცვლად დატანილი ძეწკვები - ყოველივე ეს საძინებლის ინტერიერში ფასჰიონ-იმიჯს ქმნის.



საძინებელს და აბაზანას ერთმანეთისგან გამოყოფს მინის ტიხარი, რომელიც ორივე სივრცეს ერთგვარ თავისუფლებას და სიმსუბუქეს ანიჭებს. პირველი, რაც თვალში გეცემათ აბაზანაში შესვლისას, არის ჯაკუზი და მის პირდაპირ - დიდი ფანჯარა კიევის შესანიშნავი პანორამით. სიმსუბუქის შეგრძნებას კიდევ უფრო ამძაფრებს სააბაზანოს ჭერზე დამონტაჟებული მომცრო გამჭვირვალე სანათები. საძინებლის და აბაზანის გარდამავალი ზონის დიზაინიც ნათელი, თავისუფალი და ელეგანტურია.

სათანადო ყურადღება დაეთმო საგარდერობოსაც, რომელშიც ყოველი დეტალი სათუთად გათვლილია. საგარდერობოს დიზაინი საძინებლის სტილისტიკას ეხმიანება; სტელაჟებზე გამოყოფილია ქალის და მამაკაცის ტანსაცმლისთვის განკუთვნილი ზონები - ისინი ფუნქციურადაც განსხვავდება და შეფერილობითაც.



სტუმრებისთვის განკუთვნილი სან.კვანძის დიზაინის ფერით გამას საფუძვლად უდევს თეთრისა და ლურჯის კომბინაცია. კედლები დეკორირებულია მოზაიკური პანოებით, და ყოველივე ამას ავსებს მარსელ ვანდერსის მსუბუქი, აჟურული ავეჯი. ინტერიერში არაორდინარული მოტივების გამოყენების ეს ტიპიური მაგალითი გარკვეულ სინატიფეს მატებს და ლოგიკურ დასრულებამდე მიჰყავს საცხოვრებლის დიზაინის იდეა.

Bright-colored, unordinary, emotional - these are the best words to describe this apartment in one of Kiev's newly developed areas. The place is as ambitious and daring as its owner - a young woman with impressive self-determination, who wanted to live in a place which would be original and festive, but comfy and cozy. The assignment was far from being easy: designers would have to make luxurious design look subdued and match provoking accents with the general softness. Yakusha Studio handled this project mostly because of the client's enthusiasm. Giving up their hallmark style, but retaining general principles, Yakusha Studio created a bright-colored but rather reserved interior design with fashion elements.

The main zone - entrance, living room and kitchen - is prevalently white; the single, but very powerful accent is a luxurious wall of red leather roses. This wall is an essential element, which unites lobby and living room zones and dominates the whole space. The wall is decorated with two thousands of handmade roses of unique texture and color. Coloring of two doors cut in this wall repeats that of decorative roses and creates the impression of unbroken surface.

The living room boasts a set of furniture with glamorous white facades and a built-in bio-chimney. White-colored furniture with varying surface textures visually integrates the apartment. The furniture and consumer appliances are made by leading world brands, connected with fashion industry in this or that way. Each separate element is too flashy, but their skillful distribution adds special elegance to the interior. In the center of the living room there is a bar counter decorated with Swarovski crystals; its rounded shape logically completes the design.

The highlight of this apartment is its kitchen. This unique, daring and creative composition is also highly functional. In its center you will find a cooker hood, a cooktop, a sink and champagne coolers integrated into an oval-shaped island construction. To visually expand the space, the designers decorated one of the walls with reflective mosaic. The kitchen also contains additional working surfaces, sets of drawers and storage spaces for various appliances.

Bedroom interior design is very subtle, tender and individual. Special impression of freedom and ingenuity is formed by Chanel style furniture - as always, a symbol of refined taste. Diamond pattern on vertical surfaces, button trimmings, chainlets acting as handles - all this forms the image of fashion in bedroom design.

The bathroom is separated from the bedroom by means of a glass partition which adds certain freedom

# Bright fashion apartment

**Area: 190 sq. m.,**
**Location: Kiev**

**www.yakusha.com.ua**



and lightness to both spaces. In the bathroom there is a whirlpool located right in front of the window, offering a scenic view of Kiev. Small translucent light fixtures suspended from the bathroom ceiling reinforce the effect of lightness. Design of bedroom-to-bathroom transition zone is light, free-flowing and elegant.

Even the cloakroom is planned through to smallest detail. Its interior reiterates the stylistics of bedroom; shelves on the walls are differentiated not only by function (male-female), but also by color.

Guest bathroom interior is brightly colored; though the combination of white and blue prevails. This space is decorated by a mosaic wall panel with floral pattern and a set of filigree furniture by Marcel Wanders. We can see a notable example of unusual motives applied in order to increase the delicacy and elegance of apartment design.





Yakusha Design Studio
www.yakusha.com.ua

სიახლე
NEWS

# ტრადიციიდან ინოვაციისკენ



## “კანაპაკრუდა“ (CANAPACRUDA) – კანაფის ქაღალდის პირველი არტიზანული ლაბორატორია ფაბრიანოში

ალბათ ყველამ არ იცის, რომ კანაფის ფოთლით მზადდება მაღალი ხარისხის, თხელი და გამძლე ქაღალდი. მაგალითად ჩინეთში, კანაფი გამოიყენებოდა პრეისტორიულ ხანამდე თოკებისა და ქსოვილების დასამზადებლად, ხოლო 2000 წელიწადზე უფრო ადრე, კანაფი გამოყენებული იქნა პირველი ქაღალდის ფურცლის დასამზადებლად.

აღსანიშნავია, რომ არსებობს კანაფის გამოყენების უამრავი შესაძლებლობა, ხოლო სხვადასხვა მკვლევარების აზრით, კანაფი წარმოადგენს უდიდესი ღირებულებისა და ყველაზე მრავალმხრივ ბუნებრივ რესურსს. ქსოვილური ბოჭკოს ექსტრაქციის ან თესლების შეგროვების შემდეგ, რჩება ფთილა და ღერო, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი ნედლეული. კანაფის ცელულოზური ბოჭკოებით, შესაძლებელია ფართო გამოყენების ქაღალდის პროდუქციის დამზადება, მაგალითად, საგაზეთო ქაღალდის, მუყაოსი და ასე შემდეგ.

ჯერ კიდევ ადრეულ პერიოდში, ბეჭდვის შემოღებისას, კანაფისაგან დამზადებულ ქაღალდს წამყვანი როლი მიენიჭა: გუტენბერგის მიერ დაბეჭდილი ბიბლიის პირველი ეგზემპლარები ამ ტიპის ქაღალდით აიკინძა. ამერიკის კონსტიტუციისა (1776 წ.) და საფრანგეთის კონსტიტუციის (1791 წ.) ორიგინალებიც კანაფის ქაღალდზეა დაწერილი.



პირველი პროდუქცია (ნივთები) შეიქმნა სახლის პირობებში
FIRST PRODUCTS WERE CREATED AT HOME

დღეს, მსოფლიოში დამზადებული ქაღალდის მხოლოდ 5% არის მიღებული ერთწლიანი მცენარეებისაგან – კანაფისგან ან სელისგან, არადა, ქაღალდის დამზადება კანაფის ბოჭკოსა და ღეროს გამოყენებით მნიშვნელოვან უპირატესობებს მოიცავს, ხეებთან შედარებით, როგორც მისი ცელულოზის დიდი პროდუქციულობის მიხედვით (რამდენიმე თვეში, ერთი ჰექტარზე მოყვანილი კანაფი, აწარმოებს ისეთივე რაოდენობის ცელულოზას, რასაც 4 ჰექტარზე გაშენებული ტყე, რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში), ასევე ლიგნინის დაბალი პროცენტული მაჩვენებლით. ეს კი საშუალებას იძლევა, თავიდან იქნეს აცილებული ხის დასაშლელად საჭირო დიდი რაოდენობის მჟავების გამოყენება. გარდა ამისა, კანაფის ბოჭკო და ღერო უკვე თეთრი ფერისაა და მისგან დამზადებულ ქაღალდზე შესაძლებელია დაუყოვნებლივი ბეჭდვა, ხოლო ხის ბოჭკოსგან მიღებული ქაღალდის გასათეთრებლად და დასამუშავებლად გამოყენებული ქიმიური კომპონენტები მავნებელია – და აზიანებს ატმოსფეროში ოზონის შრეს. შესაბამისად, კანაფის შესაძლებლობა მნიშვნელოვნად გასათვალისწინებელია განსაკუთრებით დღევანდელ დღეს, როდესაც ევროპის ყველა წამყვანი ტყე და ამერიკის ტყეების დიდი ნაწილი განადგურებულია ქაღალდის დამზადების მიზნით.

დღეს, მთელს მსოფლიოში ბევრს საუბრობენ გარემოსა და ეკოლოგიურ მდგრადობაზე და იმედი ნამდვილად არსებობს: კანაფი.

აღნიშნული კეთილშობილი მასალა ხელახალ გამოყენებას ჰპოვებს „კანაპაკრუდას“ პროდუქციაში. „კანაპაკრუდა“ წარმოადგენს კანაფის ქაღალდის პირველ არტიზანულ ლაბორატორიას, რომელიც იტალიის ქალაქ ფაბრიანოში მრავალთვიანი შესწავლის, კვლევისა და ექსპერიმენტის შემდეგ შეიქმნა. „კანაპაკრუდას“ დამფუძნებელი იტალიელი მხატვარი და ხელოვანი მელანია ტოცი (Melania Tozzi) გახლავთ.

ამ ქალაქს – ფაბრიანოს – ეკუთვნის წყლის ნიშნისა და ცხოველური ჟელატინის გამოყენების ინოვაცია და ამ ტრადიციის დამკვიდრება ქაღალდის წარმოებაში. ეს იყო ტრადიციული კულტურა იტალიაში, რომელიც მე-19 საუკუნის ბოლო ათწლეულებიდან ნელ-ნელა და 70-იან წლებში კი მთლიანად გაქრა იტალიის ტერიტორიიდან.

ამჟამად, გარკვეულწილად კრიზისისა და ნაწილობრივ ინოვაციების ნაკლებობისა ამ სექტორში, ასევე თაობებს შორის გამოცდილების გაცვლა-გაზიარების არ არსებობის გამო, სულ რამდენიმე არტიზანული ლაბორატორია აწარმოებს აღნიშნულ პროდუქტს.

ინფორმაციის მოძიება კანაფის დამუშავების შესახებ არ იყო ადვილი, რომ არა შეუპოვრობა, მუდმივი ძიება, და იმ ადამიანებთან, მეცნიერებთან შეხვედრები, ვინც საქმიანობდნენ ქაღალდის სფეროში, ვინც








წლების განმავლობაში სწავლობდნენ ამ კანაფის ბოჭკოს.სწორედ ეს ყოველივე დაედო საფუძვლად მელანია ტოცის წამოწყებას.

მელანია ტოცის მიზანი არის ის, რომ – „კანაპაკრუდას“ კომპეტენცია ხელმისაწვდომი გახდეს სხვა ადამიანებისთვის, განსაკუთრებით კი ნიჭიერი ახალგაზრდებისთვის, რომლებსაც ამჟამად ამ საქმეში ჩართვა რთული ეჩვენებათ“.

გთავაზობთ ინტერვიუს მელანიასთან:

– **საიდან მოდის ადგილობრივი კანაფის წარმოება?**

– კანაფის ბოჭკო, რომელსაც ვიყენებ ქაღალდის შესაქმნელად, ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო საწარმოდან მოდის. ეს საწარმო რამდენიმე წელია ეწევა საქმიანობას კანაფის მოყვანის სფეროში. მე მომწონს მცირე ადგილობრივ საწარმოებთან თანამშრომლობა, მათთან პირდაპირი კონტაქტის დამყარების, ხარჯების შემცირებისა და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობის მიზნით. ჩვენი ტერიტორია ძალიან მდიდარია სხვადასხვა თვალსაზრისით და მისი ექსპლუატაცია მუდამ პასუხისმგებლობით ხორციელდება.

– **რა შექმენით კანაფის გადამუშავებით? თქვენს მიერ რაიმე ახალი პროდუქციის წარმოება თუ იგეგმება?**

– ჯერჯერობით, გამოვუშვი პროდუქტების მცირე გამა, ხელით აკინძული რვეულები, საყურეები, გულსაკიდები და წიგნის სანიშნეები. თითოეული პროდუქტი შეიძლება პერსონალიზებული იქნეს და საერთოდ, თითოეულ ნივთს უნდა გააჩნდეს სული. მე მირჩევნია, თითოეულ ნივთს მივცე მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი გარკვეული თვისება, რათა არ ვიმუშაო სერიულობით. სამომავლოდ უამრავი იდეა მაქვს, რასაც ნელნელა განვახორციელებ.

– **როგორია მომავლის მიზნები?**

– ნაბიჯ-ნაბიჯ მინდა გავაფართოვო საქმიანობა, ვითანამშრომლო სხვა ხელოსნებთან და მეურნეებთან, რათა შევქმნა კანაფის ნამდვილი წარმოების ქსელი, კანაფის მოყვანიდან დაწყებული, დასრულებული პროდუქტით დამთავრებული (ქაღალდი, ქსოვილი, საკვები პროდუქტები). ყოველივე, ეს, გააიოლებს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. ამჟამად, კონცენტრირებული ვარ, ამ წლის ბოლოსათვის, ფაბრიანოს ისტორიულ ცენტრში გაყიდვების პუნქტი ავამუშავო, რაც საშუალებას მომცემს, გავხსნა სასწავლო ლაბორატორიები ან უბრალოდ დავაკმაყოფილო ტურისტებისა და ჩემი თანამოქალაქეების ცნობისმოყვარეობა და მათ გავაცნო მთელი ჩემი მისწრაფებები, რომელსაც ხელოვნების ამ სფეროში ვდებ.

„კანაპაკრუდას“ პირველი პროდუქცია წარმოდგენილი იყო ბლოკნოტებით, წიგნის სანიშნებით, ბრელოკებითა და პატარა სამკაულებით, რაზეც მოთხოვნა იყო კანაფის ნაწარმით მოვაჭრე მაღაზიებიდან და ასევე ტურისტულ უბნებში განთავსებული სასუვენირო ბუტიკებიდან. ამას გარდა, მოთხოვნადი იყო აგრეთვე თვითონ ფურცლები, რითაც ძირითადად დაინტერესდნენ ხელოვნები (ფერმწერი, მხატვარი) თავიანთი ქმნილებებისთვის, ასევე ნატურალისტი ხელოსნები და დიზაინერები კედლების გასაფორმებლად (შპალერი).

„კანაპაკრუდა“ მხარს უჭერს პროექტ “ლინფას“ - მდგრადი განვითარების სამშენებლო პროექტს, კონკურსს დიზაინერებისთვის, რომლებიც თავიანთი ნამუშევრების მეშვეობით ნარჩენებს გადააქცევენ ხელოვნებად.












# From Tradition to Innovation

## CANAPACRUDA - THE FIRST ARTISAN LABORATORY OF HEMP PAPER IN FABRIANO







Not everyone knows that it is possible to make high quality thin and durable paper from hemp (cannabis) leaves. Hemp was quite popular in ancient China as raw material for ropes and textile; about 2000 years ago the first leaf of paper was made of this plant.

There are many uses to hemp; according to researchers, this plant is a highly valuable and diverse natural resource. After extraction of tissue or collection of seeds you still have fiber, stalks and other important raw material. Hemp cellulose fiber can be used for making of paper products, such as newsprint, cardboard, etc.

Hemp paper was popular when printing was a new invention: first copies of Goutenberg's Bible were printed on such paper; original copies of USA Constitution (1776) and Constitution of France are printed on hemp paper.

Nowadays, just 5% of paper is produced from annual plants - hemp or flax. In the meantime, making of paper from hemp stalks and fiber is more expedient in comparison to wood, because hemp has higher cellulose output (1 ha plantation of hemp




can produce the same amount of cellulose in seceral months as 4 ha wood - in several decades) and lower lignin content. Mass production of paper from hemp would make it unnecessary to use large amounts of acid to process wood. Besides, hemp fiber and stalks are naturally white and hemp paper can be used for printing immediately, while paper made of wood fiber requires processing and bleaching with application of harmful chemicals. Consequently, the potential offered by hemp should be seriously considrerd, especially now that all large forests in Europe and America are destroyed for the sake of paper production.

Today, when people hotly discuss the environment and sustainability, the potential of hemp as raw material acquires special importance.

This valuable material is reintroduced by CanapaCruda - the first artisan hemp paper laboratory established in Fabriano, Italy, as a result of long-term studies, research and experiments. Founder of CanapaCruda is Italian artist Melania Tozzi.

Fabriano is the place where watermark and animal-based gelatine were introduced into paper production. These techniques were maintained till the 1870'ies but gradualy fell out of use afterwards.

Today, the chrisis, lack of innovation in this industry, no tradition of generation-to-generation succession drastically reduced the number of artisan laboratories applying these production methods.

It was not easy to collect information on hemp processing - Melania succeeded only due to her enthusiasm and assistance of scientists who researched paper and studied hemp properties for years.

Melania Tozzi's goal is to make the base of knowledge collected by CanapaCruda available to other people, especially to talented youngsters who find it hard to start their business in this sphere.

Below please find an interview with Melania Tozzi:

**- Where do you source hemp for your activity?**






- Hemp fiber I use to make paper is produced at a local farm, which has been growing hemp for several years already. I enjoy cooperation with small businesses - this allows for direct interaction and cost-efficiency, and supports local development. We live in a rich and diverse region, and its resources have always been exploited





prudently.

**- What do you produce from hemp? Do you plan to introduce any new products?**

- Until now, I have been manufacturing a small range of products: handmade notebooks, earrings, pendant ornaments and bookmarks. Each product can be personalized; rather than engage in mass production, I prefer to endow each article I make with a unique feature. I have a lot of other ideas which I will realize gradually.

**- What are your plans for the future?**

- I intend to expand my activities, establish cooperation with other artisans and farmers in order to create a network of hemp production ranging from hemp growing to various end products (e.g. paper, textile, food items). Hopefully, this will contribute


„კანაპა კრუდას“ ფურცლები „ასოციაცია სატივა მოლიზემ“ გამოიყენა სამხრეთ იტალიაში ვიზიტით მყოფი პაპისთვის გადასაცემი სასაჩუქრე წერილისთვის
ASSOCIATION SATIVA MOLISE USED CANAPACRUDA PAPER TO WRITE A GIFT LETTER TO THE POPE DURING HIS VISIT TO THE SOUTHERN ITALY



to creation of new employment opportunities. At the time being, I am concentrated at launching a sales outlet in the historic center of Fabriano by the end of this year - this will help me open educational laboratories afterwards or simply satisfy the curiosity of my compatriots and tourists by sharing with them my aspirations and the work I am doing in this sphere of art.

CanapaCruda's first products were notebooks, bookmarks, pendants and small ornaments - things which usually sell in hemp product shops and tourist-oriented merchandise boutiques. Sheets of hemp paper attracted the interest of artists, naturalist artisans and designers (the latter could use hemp paper to decorate walls).

CanapaCruda supports LINFA - sustainable development construction competition for designers, who recycle refuse into works of art.









# ლისი ვერანდა



ლისის საცხოვრებელ კომპლექსში მაცხოვრებლებისთვის აუზი და ქლაბჰაუსი გაიხსნა.

მწვანე ქალაქი ლისის განაშენიანების პირველი ეტაპი - „ლისი ვერანდა“ 2011 წლის შემოდგომაზე დაიწყო. ლისი ვერანდა ახლად გაყვანილი გოძიაშვილის ქუჩის მახლობლად მდებარეობს, რომელიც ლისის ტბას, ვაშლიჯვრის დასახლების გავლით, თბილისის სხვა უბნებთან მოკლე დროში აკავშირებს. აქ, საბოლოოდ, საცხოვრებლი კომპლექსების სამი ძირითადი ტიპი აშენდება. მაქსიმუმ 4-სართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობების ბინების პროექტები განსხვავებულია და მოიცავს ასევე დუპლექსის ტიპის პროექტებს.

„ლისი ვერანდას“„თაუნჰაუსები“ - საქართველოში – სრულიად ახა-











ლი დახვეწილი, თანამედროვე არქიტექტურის სტილის, ინდივიდუალური საცხოვრებელი ნაგებობებია. ყოველ მათგანს თავისი საკუთარი ეზო აქვს.

ლისის საცხოვრებელი კომპლექსი ახალი საცხოვრებელი უბანია, უნიკალური ხედით ჯანსაღ გარემოში. სულ ახლოს კი ლისის ტბის განახლებული სარეკრეაციო ზოლია, ღია კაფე და ლაუნჯი ტბის სანაპიოზე.

ლისის საცხოვრებელ კომპლექსში სუფთა ჰაერი და შესამჩნევი ტემპერატურული სხვაობაა ქალაქთან შედარებით. გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ ჩატარებული კვლევა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ლისის საცხოვრებელ კომპლექსში ეკოლოგიური თვალსაზრისით საუკეთესო საცხოვრებელი პირობებია.

„ლისი ვერანდას“ გამწვანების გეგმას ქართველი და იტალიელი ლანდშაფტის სპეციალისტები ახორციელებენ. განაშენიანება აქ პარკის ირგვლივ ხდება, ეგრედწოდებული გერმანული ტიპის განაშენიანების პრინციპით. მწვანე ქალაქის პირველი პარკი 4000 $მ^2$-ის ფართობზე გაშენდა.

ამ ეტაპზე დასრულებულია 120-ზე მეტი ბინის, 16 თაუნჰაუსის და 2 ვილის მშენებლობა და მიმდინარეობს 19 დუპლექსის სტილის და 8 სტუდიოს ტიპის ბინების მშენებლობა. პროექტის მომდევნო ფაზა, რომელიც 2014 წლის მაისში დაიწყო ითვალისწინებს 48000 $მ^2$-ის მშენებლობას, რაც გულისხმობს 260 საცხოვრებელ ერთეულს.









ვერნისაჟი
VERNISAGE

# დაკარგული არქიტექტურა



კოტე ჯინჭარაძე

15 მაისი, 2014

თბილისის
ისტორიის
მუზეუმი



იპოდრომი



ისევე როგორც ცალკეული პიროვნებების მეხსიერება - არსებობს ქალაქის მეხსიერებაც, როგორც ერთგვარი კულტურულ- ვიზუალური კოდი, რომელიც სისხლხორცეულადაა დაკავშირებული კონკრეტულ ადგილთან, ჩამოყალიბებულ გარემოსთან. დღეს ასე თუ ისე შემდგარი სამოქალაქო საზოგადოება ღიად ილაშრებს ქალაქის ისტორიული ნაწილის გადარჩენისთვის. აპროტესტებს საუკუნეების წინთ აშენებული ნაგებობების ნგრევას. მყისიერ რეაგირებას ახდენს მატერიალური კულტურის ძეგლის სტატუსით მინიჭებულ ხელშეუხებლობის ყოველ დარღვევაზე, უხეშ, არაკომპეტენტურ რეკონსტრუქციაზე, მით უფრო დასანანი ხდება იმ შენობების ტრაგიკული ხვედრი რომელთა დანგრევაც ინფანტელურობით და გულგრილად გაატარა ამავე ხალხმა. აქ განსხვავება თვითონ საკითხისადმი მიდგომებშია, რაც არც თუ ისე დიდი ხნის წინ დაკანონებულმა მანკიერმა პრაქტიკამ დანერგა ჩვენ ქალაქში, როცა დღისით მზისით, ავტორის დაუკითხავად, საზოგადოებრივი აზრის სრული იგნორირებით ხდებოდა შენობების ფასადების გადაკეთება, თანაც ხშირად უგემოვნოდ,არაპროფესიონალურად ერთი ადამიანის ნებასურვილით, რაც უკარგავდა შენობას პირვანდელ იერსახეს. ასეთი ქმედებები იწვევდა უნდობლობას და ეჭვს საზოგადოების მხრიდან, მაშინაც კი, როცა პოზიტიური მიდგომებს ან პროფესიონალურად შესრულებელ სამუშაოს ქონდა ადგილი. ორმაგი სტანდარტების შემოტანამ ამ სფეროში. დაღი დაასვა ქალაქმშენებლობის და ყბადაღებული საუკუნის პროექტების მსვლელობის პერსპექტივებს. 60 იან წლებში აგებულ შენობებს, სავარაუდოთ არ ქონდათ კულტურული ძეგლის სტატუსი, ამიტომაც გაანადგურეს ისინი, ერთი ხელის მოსმით, ძირითადად კერძო ინვესტორების ხელით. პროექტმა „დაკარგული არქიტექტურამ“ თავის კონცეფციაში გააერთიანა სამი სხვადასხვა პერიოდის ნაწილი. 1. თბილისის ძველი ხიდების სერია.(ნაწილი ამ ხიდებისა აშენებული იყო რუსეთის იმპერიის ხანაში, ნაწილი საბჭოთა პერიოდში), რომლებმაც შემდგომში რეკონსტრუქციის შედეგად იცვალეს სახე. და მათი ასახვა მხოლოდ იმდროინ-



კაფე იორი





დელი ფოტომასალის საფუძველზე მოხერხდა. 2. სტუდენტობის პერიოდში შექმნილი „არქიტექტურული ესკიზების“ სერია. შავ ფონზე გადატანილი, უპერსპექტივო საკურსოების ჩანახატები - ერთის მხრივ თამამი ძიებებით, მომავლის უტოპიური პროექტების თამამი ვარიაციები, რომლის განხორციელების ილუზორული შანსიც არ არსებობდა იმ პერიოდის სინამდვილეში. 3. 60-იანი წლების საბჭოთა არქიტექტურის ნიმუშები, რამდენიმე შენობის მაგალითზე, რომლებიც დღეს დანგრეულია, როგორიც იყო: რესტორანი „იორი“ თბილისის ზღვაზე, კინოთეატრი „გაზაფხული“ საბურთალოს ბაზართან, თბილისის იპოდრომი, ასევე საბურთალოზე, „პლანეტარიუმი“ მთაწმინდის პარკში, კაფე „მეტრო“ რუსთაველის პროსპექტზე. განუხორციელებელი პროექტების ესკიზებსა და დანგრეულ შენობებს აერთიანებს მხოლოდ ვიზუალური დოკუმენტაცია, მაყურებელს კი შეუძლია გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები.

















მატარებელში 50X70, შერეული ტექნიკა
BY TRAIN, MIXED MEDIA



# ჭეშმარიტი გრძნობები და სიყვარული

ახალგაზრდა, მაგრამ უკვე წარმატებული მხატვრის დავით სილაგაძის მიერ შექმნილ ფერწერულ თუ გრაფიკულ ნამუშევრებში სულიერება და დადებითი ენერგია თანდათანობით შეიგრძნობა და აღვიძებს რაღაც თბილს, კეთილს, სუფთას. ჭეშმარიტი გრძნობების და ადამიანური სიყვარულის გამოსახატავად, მარადიული სილამაზის იდეით შეპყრობილი მხატვარი, რეალობაში ეძებს მშვენიერებას, თითოეული ქმნილება თითქოს მეტყველია, გვესაუბრება, თავისებური ღირსებითაა სავსე და ნათლივ ჩანს ავტორის ნემუშევრების მიმართ სათუთი დამოკიდებულება.

დავით სილაგაძე ამჟამად თბილისის სამხატვრო აკადემიის ასისტენტ-პროფესორია; 2012 წლიდან დღემდე თბილისის სამხატვრო აკადემიის ფონდის კომისიის წევრი და „ჩვენი სახლის“ ხატვის მასწავლებელია.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი ხელოვნებისა და ვიზუალური ესთეტიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, იგი ამავე უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტია.

მხატვარი სისტემატურად იღებს მონაწილეობას საერთაშორისო თუ ადგილობრივ გამოფენებში.

ნატიურმორტი - ლითოგრაფია
STILL LIFE - LITHOGRAPHY



პერსონალური გამოფენები: “City Of Dreams” ჩელსი გალერეა. ლონდონი, დიდი ბრიტანეთი. მაისი-ივნისი. 2012 წ.

„მასტერ+კლასი“ თოჯინების მუზეუმი. თბილისი. 27 ივნისი. 2009 წ.

„ბაია გალერეა“. თბილისი. 17-20 თებერვალი. 2008წ.

გალერეა „ვერნისაჟი“. თბილისი. 15-20 მარტი. 2005 წ.

ჯგუფური გამოფენები

გრაფიკის ბიენალე. ბულგარეთი. 2012

„პარკ ლეინ ოტელი“. ლონდონი. დიდი ბრტიტანეთი. ივნისი. 2010 წ.

თანამედროვე ქართველ მხატვართა გამოფენა. თბილისის სააუქციონო სახლი. 4-15 დეკემბერი. 2009წ.

ადამიანის პასუხისმგებლობათა ქარტიის საინოვაციო ჯგუფის მიერ მოწყობილი გამოფენა. თსუ 1-ლი კორპუსი. 13 ივნისი. 2008 წ.

ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი გამოფენა. თსუ 1-ლი კორპუსი. 14 აპრილი. 2008წ.

თსუ-ს პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენა. თსუ 1-ლი კორპუსი. 30 ოქტომბერი. 2007 წ.

თსუ ხელოვნების ფაკულტეტის სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენა. თბილისის ენათა და კულტურის ცენტრი. 27 ოქტომბერი. 2005 წ.

საქართველოს მხატვართა ასოციაციის ჰარმონიული განვითარების ცენტრი. მე-4 რესპუბლიკური გამოფენა. მაისი. 2005 წ.

„პლაკატი 2004, კაიროდან საქართველომდე, მზერა მომავლისკენ“ გალერეა „ჰობი“. თბილისი. ნოემბერი. 2004 წ.

„იმპრესიონიზმი 130 წლისაა“ გალერეა „ბაია“. აპრილი. 2004 წ.

დავით სილაგაძის ნამუშევრები დაცულია კერძო და სახელმწიფო კოლექციებში, როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ.



ძველი ქალაქი - 50X70, შერეული ტექნიკა
MIXED MEDIA - OLD CITY

# True feelings and human love

Paintings and graphic art created by young but already successful artist David Silagadze emanate spiritual energy and evoke warm, positive emotions. To express true feelings and human love, the artist seeks beauty in real life. Each of his creations has a distinctive voice, some kind of dignity and spiritual beauty, which reveals the author's reverential attitude toward his work.

David Silagadze now works as assistant professor at Tbilisi State Academy of Arts. In 2012 he entered the Commission of Tbilisi State Academy of Arts Foundation and started to teach art at "Our House".

David Silagadze graduated from the Faculty of Applied Art and Visual Aesthetics of Ivane Javakhishvili Tbilisi State University and currently takes a course of doctoral studies at TSU Faculty of Liberal Arts.

The artist systematically participates in international and national exhibitions.

David Silagadze's solo exhibitions:

- City of Dreams; Chelsea Gallery, London, UK; June-July 2012
- Master+Class; Puppet Museum, Tbilisi; June 27 2009
- Baia Gallery, Tbilisi; February 17-20 2008
- Vernissage Gallery, Tbilisi; March 15-20 2005

Participation in group exhibitions:

- Biennale of Graphic Art; Bulgaria; 2012
- Park Lane Hotel, London, UK; June 2010
- Exhibition of Modern Georgian Artists; Tbilisi Auction House; December 4-15 2009
- Exhibition by the Innovation Group for Charter of Human Responsibilities; Tbilisi State University, building 1; June 13 2008
- Georgian Language Day Exhibition; Tbilisi State University, building 1; April 14 2008
- Exhibition by Tbilisi State University teachers and students; Tbilisi State University, building 1; October 30 2007
- Exhibition by students of Tbilisi State University Faculty of Art; Tbilisi Center of Languages and Culture; October 27 2005
- Harmonic Development Center of the Association of Artists of Georgia; the 4th National Exhibition; May 2005
- "Poster 2004. From Cairo to Georgia - looking into the future"; Hobby Gallery, Tbilisi; November 2004
- 130th Anniversary of Impressionism; Baia Gallery; April 2004

David Silagadze's works can be found in private and governmental collections both in Georgia and abroad.


ღამის ქალაქი. ტილო - ზეთი, 40/50 სმ. 2008 წ.
NIGHT IN CITY. CANVAS - OIL


მთვარის ნათება - 50X70, შერეული ტექნიკა
MOONLIGHT - MIXED MEDIA


დასავლეთის ექსპრესი - ოფორტი
WESTERN EXPRESS - ETCHING








# გალერეა "ვერნისაჟი" - "ახალი მისამართი ლესელიძის 49"





2014 წლის 11 ივნისს, თბილისში, გალერეა ვერნისაჟი ახალ მისამართზე – "ლესელიძის 49–ში" გაიხსნა. კოლორიტული გალერეის საგამოფენო დარბაზმა და ეზომ ერთდროულად 26 არტისტის უჩვეულოდ მრავალფეროვანსა და განსხვავებული შთაბეჭდილებებით სავსე ჯგუფურ ექსპოზიციას უმასპინძლა. მოწვეულ საზოგადოებას, ქალაქის სტუმრებს, 20 ივნისამდე ჰქონდათ შესაძლებლობა, გასცნობოდნენ საინტერესო ნამუშევრებს თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნების კოლექციებიდან.









# Gallery „Vernissage“ – “New Address Leselidze st. 49"








# გამოფენა-გაყიდვა გალერეა "ტილდაში"

2014 წლის 19 ივლისს გალერეა "ტილდაში" გაიხსნა დედა-შვილის – ანა და ნინო ლალიძეების პირველი ერთობლივი გამოფენა – გრაფიკა და გობელენი ერთ სივრცეში.

გამოფენის გახსნა თბილ გარემოში ჩატარდა. დამთვარიელებელი სიამოვნებით გაეცნო ექსპოზიციას, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ ტექნიკაში შესრულებულ ნამუშევრებს – ლითოგრაფიას და თექის კომპოზიციებს. გამოფენა გაგრძელდა 30 ივლისამდე.

არტ –კაფე "ტილდა" ძველ თბილისში, ხოდაშენის ქუჩაზე, მდებარეობს. აქ გამოფენილია ნახატები და ნაკეთობები მხატვართა კოლექციებიდან. ექსპოზიცია გამუდმებით იცვლება და მნახველთა დიდ ინტერესს იწვევს.

















რადიო ჰოლდინგი "ფორტუნა"

წარმოგიდგენთ მუსიკალური
დაჯილდოვების ცერემონიალს

სარეკლამო გვერდი




insto
JUNG
"ჭკვიანი" სახლი